ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 1 ივლისი, 2022 | №128 (8906) | ფასი: 80 თეთრი



გვ.5

**ბორჯომში ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა**

**სასამართლოში კარტოგრაფების საქმეზე ორი მოწმე დაიკითხა**



გვ.5

# „წულუკიანი ყველაფრის მკადრებელია, ამიტომაა ივანიშვილისთვის საიმედო“



გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „ბოლო ჟამს ზონდერებს იყენებდა შევარდნაძის და სააკაშვილის ხელისუფლებაც. ამან მათ წარმატება ვერ მოუტანა, ახლაც ასე იქნება“



## „ვადამდელი არჩევნები პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს“



გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „ოცნებამ“ უნდა გააცნობიეროს, დემოკრატიას ალტერნატივა არ აქვს“

**ვატო წერეთელი: „ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე „ოცნების“ დეპუტატები დამესხნენ თავს და ფიზიკურად გამისწორდნენ“**



გვ.3

## „სამი დეპუტატის წასვლა „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციას არ ემსახურება“

დათო ლორთქიფანიძე: „საინტერესოა, ხუნდაძეს, სუბარსა და ყაველაშვილს საზოგადოებისთვის სათქმელი რა აქვთ“



გვ.4

## „ამ სიტუაციაში ვადამდელ არჩევნებს დავნიშნავდი“



გვ.3

ანზორ აბრალავა: „რაც სუბარმა განაცხადა, იმაში ახალი და სენსაციური არაფერია. არ მესმის, რად უნდოდა ამას „ოცნებიდან“ გამოსვლა“

**„ბევრი ადამიანი ევროპული კურსის მხარდაჭერით გამოდის, აქციის მთავარ ფარულ ორგანიზატორებს კი სახელმწიფო გადატრიალება უნდათ“**



გვ.2

**გიორგი ვაშაძე: „მთელმა მსოფლიომ გაიგო, ვისთან აქვთ საქმე „ქართული ოცნების“ სახით“**

1993230720223


2 ლევან ხაბეიშვილი: „ოცნებას“ სურს, სპექტაკლი დადგას“

5 დუშეთში მოქალაქის სახლიდან სამხედრო ჯავშანტექნიკის სათადარიგო ნაწილები ამოიღეს

5 ყვარლის ტყეში 68 წლის მამაკაცის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე დაკავებული პირების ოჯახებს ადგილობრივებმა სოფელი დაატოვებინეს

6 გაერთიანებული სამეფო უკრაინას დამატებით 1 მილიარდი ფუნტი სტერლინგის დახმარებას გაუწევს

# „წულუკიანი ყველაფრის მკადრებელია, ამიტომაა ივანიშვილისთვის საიმედო“

## ლელა ჯეჯელავა: „ბოლო ჟამს ზონდერებს იყენებდა შევარდნაძის და სააკაშვილის ხელისუფლებაც. ამან მათ წარმატება ვერ მოუტანა, ახლაც ასე იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

***– ქალბატონო ლელა, საზოგადოება 3 ივლისის გრანდიოზული აქციისთვის ემზადება. ამის პარალელურად ახალი პროცესები დაიწყო მმართველ პარტიაში. რა ჩაიფიქრა „ქართულმა ოცნებამ“? რა მიზანს ემსახურება სამეულის წამოსვლა პარტიიდან?***

– მართალი გითხრათ, არ ვიცი „ქართული ოცნება“ რამდენად ფიქრობს. იქ ასეთი სტრატეგია აქვთ, მხოლოდ ერთი კაცი ფიქრობს და დანარჩენები ამ ერთი კაცის ნაფიქრის აღსრულებას ემსახურებიან. რაც შეეხება იმ ერთ ადამიანს, მის გარშემო, რასაკვირველია, ძალიან სერიოზული პროცესები ვითარდება, არცთუ ისე სახარბიელო. ამის დასტური იყო გუშინ ბერლინში დემოკრატიული კავშირის მიერ მიღებული რეზოლუცია, სადაც ევროპის ქვეყნების რამდენიმე ათეული პარტიის ერთობლივი განცხადება გახლავთ და სადაც პერსონალურად იყო დაყენებული საკითხი, ივანიშვილსა და მასთან დაახლოებული პირების სანქციებთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის ცხოვრებაში საუკეთესო დღეები ნამდვილად არ დგება. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ის ფიქრობს და, სხვათა შორის, მისი ძლიერი მხარე არის თვითგადარჩენის ინსტინქტი, რომელიც მას აქვს და რომელიც მისმა განვლილმა ცხოვრებამ არაერთგზის დაამტკიცა.

დღეს, ბიძინა ივანიშვილის მთავარი ამოცანაა, საკუთარი ფინანსური და ფიზიკური უსაფრთხოების შენარჩუნება, ასევე, საკუთარი ოჯახის წევრების უსაფრთხოების დაცვა და მათ შორის, მისი შვილების მომავლის დაცვაც.

***– ამის გამო მას შეუძლია „ოცნებაც“ და მისი პირველი პირებიც გაწიროს?***

– რასაკვირველია. ის მოიქცევა ისე, რასაც ჩათვლის ყველაზე უფრო რელევანტურად საკუთარი და ოჯახის პირადი უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. ამიტომ მე მაინც მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი, თვითონ პერსონალურად, დასავლეთთან სერიოზულ კონფრონტაციაზე არ წავა. ამიტომ ეს სამეული, რომელიც წამოვიდა „ოცნებიდან“ და ეს ყველაფერი სრულიად აბსურდის თეატრია.

***– რა განვითარება ექნება ამ ყველაფერს?***



– ძალიან ძნელია, რომ მათი განცხადებები სერიოზულ დონეზე განიხილო. ამიტომ შეიძლება მოვლენები განვითარდეს შემდეგნაირად. მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილი შეელევა პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს. თქვენ იცით, რომ მისი განთავისუფლების მოთხოვნაა საზოგადოების მხრიდან დაყენებული. შესაძლოა, ბიძინამ ჩათვალოს, რომ ეს არის შემხვედრი ნაბიჯი.

***– ანუ შესაძლოა პარტიის გადმოგდების მცდელობა ჰქონდეს, მაგრამ მარტო ღარიბაშვილის გაშვება უშველის საქმეს?***

– აი, ნახეთ რაშია საქმე, ღარიბაშვილს კი შეცვლის, მაგრამ ის არ წავა შინ დატუქსული. მე მგონია, რომ ღარიბაშვილი ემზადება ახალი პოლიტიკური ამპლუისთვის და ეს სამი ადამიანი ამზადებს ნიადაგს ახალი პოლიტიკური პარტიისთვის, რომლის სათავეშიც ალბათ აღმოჩნდება ღარიბაშვილი. ასევე, რომლის გარშემოც კონცენტრირდება მთელი პრორუსული პოლიტიკური სპექტრი, საქართველოში არსებული.

***– ეს სამეულიც ამ პარტიაში აღმოჩნდება?***

– რასაკვირველია, ეს სამეულიც იქ აღმოჩნდება და ეს სამეული არის ახლა ტესტირება აი ამ ყველაფრისა. ეს არის სამზადისი ახალი პოლიტიკური პლატფორმის შესაქმნელად.

***– როდესაც საზოგადოების დიდ ნაწილს არჩეული აქვს გზა ევროპისკენ, პრორუსულ პარტიას რა მომავალი ექნება?***

– ნუ დავხუჭავთ თვალს იმაზე, რომ ჩვენს საზოგადოებაში გვყავს საკმაო რაოდენობა იმ ელექტორატისა, ვისთვისაც დასავლური კურსი არის მკაფიოდ მიუღებელი. მათ შეუძლიათ მოაგროვონ გარკვეული რაოდენობა მომხრეებისა, იმისთვის, რომ ახალი პოლიტიკური პლატფორმა შექმნან და ეს პლატფორმა იყოს აქ რუსეთის დასაყრდენი. ვერ გეტყვით, რომ ეს იქნება ძალიან ანგარიშგასაწევი ძალა, მაგრამ ეს იქნება რეალურად ახალი პოლიტიკური პლატფორმა, რომელსაც ექნება თავისი კონკრეტული მიზნები და ამოცანები შესასრულებელი. მგონია, რომ მოვლენები სწორედ ამ მიმართულებით განვითარდება.

***– ღარიბაშვილის გაშვება, რამდენად ჩააცხრობს ამ საპროტესტო მუხტს, რაც ახლაა საზოგადოებაში?***

– საქმე ისაა, რომ საზოგადოებას სჭირდება კონკრეტული შედეგი. კონკრეტული შედეგი არის ის, რომ ჩვენ 6 თვის შემდეგ უნდა მოგვცენ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. აი ეს არის ამ მოძრაობის მიზანი და ამოცანა. ღარიბაშვილის წასვლა ან მოსვლა, ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით დიდს ვერაფერს ცვლის, მაგრამ ცვლის იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს რაღაცა თვალსაზრისით იმ რეკომენდაციების შესასრულებლად. ღარიბაშვილი კი არ არის ის პერსონა, რომელიც არის ყველაზე უკეთესი იმისთვის, რომ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან იმუშაოს. ამიტომ ამის გაკეთება მაინც მოუწევს ივანიშვილს.

***– ხისტია ღარიბაშვილი?***

– ძალიან, თანაც მის რიტორიკას თუ გავითვალისწინებთ. ღარიბაშვილთან დაკავშირებით უკვე ყველაფერი გაცხადებულია. ივანიშვილი კიდევ უფრო მეტად მოქნილია გარკვეული თვალსაზრისით, დასავლეთთან მიმართებაში, ვიდრე ღარიბაშვილი.

***– ვინ შეცვლის ღარიბაშვილს?***

– ბევრი ვერსია მოვისმინე. მათ შორის, ვიქტორ ყიფიანთან დაკავშირებით. ასევე, მოვისმინე წულუკიანის ვერსია. თუმცა წულუკიანით ჩანაცვლება, უბრალოდ, აზრს კარგავს იმ მიზნისთვის, რა მიზნისთვისაც შეიძლება, ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრი შეცვალოს. ვერ გეტყვით, ვინ იქნება, მაგრამ შემთხვევით არ გაჟღერდა ივანიშვილის ადვოკატის, ვიქტორ ყიფიანის ფიგურა ამ მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით. კონკრეტულად ვინ იქნება, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, გარდა წულუკიანისა. რადგან წულუკიანი დასავლეთისთვის შეიძლება უფრო მეტად ტოქსიკური აღმოჩნდეს, ვიდრე ღარიბაშვილი.

***– რამდენად უშვებთ წულუკიანის კანდიდატურას? ის 2012 წლიდან ერთადერთია, ვინც სულ მინისტრთა კაბინეტშია.***

– კი, გეთანხმებით. ბიძინა ივანიშვილს აქვს ძალიან მკაფიო კრიტერიუმები თავის გუნდთან მიმართებაში. რაც უფრო მეტის მკადრებელი ხარ, მით უფრო საიმედო ხარ ბიძინა ივანიშვილისთვის. ამ თვალსაზრისით, თეა წულუკიანი ნამდვილად არის საიმედო კანდიდატურა, მაგრამ რამდენად არის ის, ამ კონკრეტულ ვითარებაში, ბიძინასთვის გამოსადეგი, ეგ ცალკე თემაა. მე არა მგონია, რომ ამ ნაბიჯზე წავიდეს. ეს მართლა მორიგი ხარაკირი იქნება. ბიძინას კი შეცდომების დაშვების უფლება ნაკლებად აქვს და იმედია, ამას თვითონაც გრძნობს.

***– 3 ივლისის აქციაზე რას იტყვით? უნივერსიტეტში დიდი ამბავი იყო. ითქვა, რომ ზონდერები მიუგზავნეს სტუდენტებსო. რა მოლოდინი გაქვთ, რამდენად აგრესიული იქნება „ოცნება“?***

– რაც უფრო მოახლოვდება ფინალი, „ოცნება“ მით უფრო აგრესიული იქნება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს აგრესია მათ მიიყვანს სასურველ შედეგამდე. ჩვენ ამის გამოცდილება გვაქვს. ზონდერებს მშვენივრად იყენებდა შევარდნაძის ხელისუფლებაც, ბოლო ჟამს. ასევე გადასარევად იყენებდა სააკაშვილის ხელისუფლებაც, მაგრამ ამან მათ წარმატება ვერ მოუტანა და ვერც შედეგამდე ვერ მიიყვანა. ახლაც ასევე იქნება.

***– ცუდია, შეცდომებზე რომ ვერ სწავლობენ და იგივე შეცდომებს უშვებენ.***

– ეს ყველაფერი ხომ ჩვენ გავლილი გვაქვს. აქვს თუ არა ბიძინა ივანიშვილს რესურსი, იყოს ლუკაშენკო? პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში იყო ლუკაშენკო, ამისი რესურსი არ არსებობს და ვერც ბიძინა ივანიშვილს ვერ ექნება. ეს უნდა დაივიწყოს. თორემ ეს დასრულდება იმაზე მძიმედ, ვიდრე დასრულდა ბევრი ლიდერისთვის, რომელიც დასავლეთს აუხირდა. საქართველოში ლუკაშენკო ვერ შედგება და არ იქნება! ყველაზე დიდი რესურსი ვისაც ჰქონდა ამისი, ეს იმანაც ვერ გააკეთა.

# გიორგი ვაშაძე: „მთელმა მსოფლიომ გაიგო, ვისთან აქვთ საქმე „ქართული ოცნების“ სახით“

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის გიორგი ვაშაძის შეფასებით, „ქართულ ოცნებას“ დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილისა და სოზარ სუბარის წასვლით „ალტ-ინფოს“ ლიდერები გამოეყვნენ.

როგორც მან „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა, – „ქართული ოცნება“ უნდა დაიშალოს, რადგან ის ანტიდასავლური და საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ძალაა.

„სამწუხაროა, რომ საქართველოში ყოველდღიურად მდგომარეობა ძალიან კატასტროფულია. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებას“ „ალტ ინფოს“ ლიდერები გამოეყვნენ. ბრიუსელში ძალიან კონკრეტული შეფასება იყო, ომში დადანაშაულების შემდეგ, შეფასება იყო ასეთი: თუ ევროკავშირი არის ეშმაკების გაერთიანება, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებს ომში ითრევს, მაშინ საქართველოს ევროკავშირში წევრობა, რატომ უნდა? ძალიან კონკრეტული კითხვა არის, ეშმაკებთან გინდათ ურთიერთობა? ბოროტების მანქანა თუ არის ევროკავშირი, რა უნდა ბოროტების მანქანასთან „ქართულ ოცნებას“? აი, ეს არის მათი პასუხი. უკვე თვალუწვდენელი, აღვირახსნილი ქმედებებია „ქართული ოცნების“ მხრიდან, – განაცხადა ვაშაძემ.

მისი თქმით, დეკემბრამდე რეფორმებია გასატარებელი და არ არის საჭირო ანტიქართული ძალის – „ქართული ოცნების“ ოლიგარქიული რეჟიმის ლოდინი, რომ ის რამეს გააკეთებს.

– დეკემბერში კიდევ ნაკლები შანსია, რომ კანდიდატის სტატუსი მივიღოთ, ვიდრე ერთი კვირის წინ, ხოლო მაისში უფრო ნაკლები შანსი იქნება. შემდგომში, 2023 წლის დეკემბერში კიდევ ნაკლები იმიტომ, რომ პოლიტიკური გარემოებები ძალიან სერიოზულად შეიძლება შეიცვალოს, მათ შორის ევროკავშირში. უკაცრავად, მაგრამ თუ საქართველომ არაფერი გააკეთა, გიჟები კი არ არიან, რომ ხვეწნა-მუდარა დაგვიწყონ, არავინ გვეხვეწება. გვინდა? კი ბატონო, აგერ არის შესაძლებლობა. არ გინდა? კარგად იყავი. ახლა მეორე საკითხი, ის აბსურდი, რომ ახლა ქუჩის პროტესტის დრო არ არის. რას ნიშნავს არ არის? ვერ გავიგე, აბა, „ქართულ ოცნებაზე“ წნეხი როგორ უნდა იყოს?! – განაცხადა ვაშაძემ.

როგორც „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი აცხადებს, „ქართულ ოცნებას“ 3 ივლისამდე აქვს დარჩენილი ვადა, რომ თავისი პასუხი ჩამოაყალიბოს.

– ახლა ისინი ტესტავენ, 3 კაცი, „ალტ ინფო 2“ რომ დავარქვათ, რომ გამოაგდეს „ქართული ოცნებიდან“, შეძლებს თუ არა მძიმე პროცესების შეცვლას „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. უკვე ეს დეზინფორმაციის კამპანიები და ადამიანის ტვინზე ძალადობა ვეღარ გაჭრის. მთელმა საქართველომ და მთელმა მსოფლიომ გაიგო, ვისთან აქვთ საქმე „ქართული ოცნების“ სახით. ამიტომ ახლა გარადიკალებული სოზარი, ყაველაშვილი და „ღირსების დაცვის გმირად“ მონათლული ხუნდაძე ვერაფერს შეძლებენ“ – განაცხადა ვაშაძემ.

ის ფიქრობს, რომ თუ ქვეყნის ინტერესებზე ფიქრობენ, „ქართული ოცნება“ სხვა წევრებმაც უნდა დატოვონ.



„ქართული ოცნება“ უნდა დაიშალოს, ეს არის ანტიდასავლური და საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ძალა. ამიტომ, უნდა დაიშალოს და მშვიდად, ყოველგვარი აღელვების გარეშე, რეფორმებსაც გავაკეთებთ, ტრანსფორმაციაც იქნება და აბსოლუტურად ყველაფერი, – აღნიშნა ვაშაძემ.

# ლევან ხაბეიშვილი: „ოცნებას“ სურს, სპექტაკლი დადგას“



– უსამშობლო ბიძინა ივანიშვილი, რომლისთვისაც სამშობლო მხოლოდ მილიარდებია, მზად არის საკუთარი ძალაუფლებისთვის ადამიანები დააპირისპიროს ერთმანეთთან.

ასე აფასებს „ინტერპრესნიუსთან“ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ლევან ხაბეიშვილი პროევროპული კამპანიის დროს მოსახლეობასთან შესახვედრად ჩასული ოპოზიციონერების მიმართ აგრესიული ჯგუფების დაპირისპირების ფაქტებს.

ლევან ხაბეიშვილის შეფასებით, მმართველ გუნდს სპექტაკლის დადგმა სურს, თითქოს ხალხი ოპოზიციას უპირისპირდება, მაგრამ „იმის თავიც არ აქვთ, რომ უბრალო მოქალაქეები მიიყვანონ და დასაპირისპირებლად ფრაქციის თავმჯდომარეები ან საკრებულოს წევრები მიჰყავთ“.

– ივანიშვილი ამ დაპირისპირებას იყენებს ყველა პოლიტიკური კრიზისის დროს, 2012 წლიდან 2022 წლამდე ყველა დაძაბული ვითარების დროს იყენებდნენ მეთოდს, რომელიც დაკავშირებულია ძალადობასთან, დაპირისპირებასა და დაყოფასთან. მათი პროპაგანდა ცდილობს მოყვეს, რომ ხალხი უპირისპირდება ოპოზიციას, რაც სიმართლე არ არის. სურთ დადგან სპექტაკლი, მაგრამ იმის თავიც არ აქვთ, რომ უბრალო მოქალაქეები მიიყვანონ, მოქალაქეებთან დასაპირისპირებლად მიჰყავთ ფრაქციის თავმჯდომარეები და საკრებულოს წევრები. ცდილობენ შექმნან პარალელური სამყარო, სადაც მოყვებიან, როგორ უპირისპირდება მოქალაქე ოპოზიციას, რეალობაში თავად უპირისპირდებიან ხალხს. ეს არის ძალიან საშიში, ცეცხლს ეთამაშებიან, პოლიტიკოსები ნაჩვევი ვართ თავდასხმას და პროვოკაციას, მაგრამ სტუდენტებს რომ ამას უკეთებენ, წარმოიდგინეთ, რაზეა ეს ხალხი წამსვლელი. ივანიშვილი არის უსამშობლო კაცი, რომელიც წავა ყველაფერზე ძალაუფლების შესანარჩუნებლად და თუ ამ კრიმინალებს ხელისუფლებას არ გამოვტაცებთ, ქვეყანა საშიში ადამიანების ხელში დარჩება, – აღნიშნა ლევან ხაბეიშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვადამდელი არჩევნები პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს“

## ლევან ალაფიშვილი: „ოცნებამ“ უნდა გააცნობიეროს, დემოკრატიას ალტერნატივა არ აქვს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ამბობენ, რომ „ქართული ოცნებიდან“ დეპუტატების გასვლა გაგრძელდება. თუ მმართველი პარტია საპარლამენტო უმრავლესობის სტატუსს დაკარგავს, ეს შეიძლება ვადამდელ არჩევნებს ნიშნავდეს?***

– მე ვთვლი, რომ „ქართული ოცნებიდან“ ამ სამი დეპუტატის წასვლას უფრო პოლიტიკური შემადგენელი აქვს, მაგრამ კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტში ერთი პოლიტიკური ძალა ან პოლიტიკური კოალიცია თუ არ ფლობს უმრავლესობას ანუ 76 მანდატს, დღის წესრიგში მთავრობის ლეგიტიმაციის საკითხი დგება. თუ, ახალი პრემიერისთვის ან მთავრობისთვის პარლამენტის უმრავლესობა ნდობის გამოცხადებას ვერ შეძლებს, მაშინ ვადამდელი არჩევნების საკითხი შემოდის, რომ ქვეყანა მმართველობის გარეშე არ დარჩეს.

ამ დროს პროცედურულად პრეზიდენტი არსებულ პარლამენტს ითხოვს და ვადამდელ, რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს, მანამდე კი არსებული მთავრობა ასრულებს მოვალეობას. ასეთია კონსტიტუციაში გაწერილი პროცედურები.

***– რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს. შეიძლება მართლაც შეიქმნას ახალი ფრაქცია პარლამენტში „ოცნების“ რადიკალური ნაწილისგან დაკომპლექტებული?***

– არაფერს არ გამოვრიცხავ, მაგრამ ეს პოლიტიკურ კრიზისს კიდევ უფრო გააღრმავებს. ეს არ იქნება გონივრული ნაბიჯი, რომელიც რაიმე დადებით შედეგს მოუტანს ქვეყანას ევროკავშირის გზაზე თუ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღებისკენ მიმართული. ეს იქნება თეთრი ძაფით ნაკერი ხელოვნური ფრაქცია, რომლის დანიშნულებაც გასაგებია, რაც უნდა იყოს. უკვე გვითხრეს ამ დეპუტატებმა, რომ მეტი სიმართლე უნდა უთხრან ხალხს ევროკავშირის თუ საერთოდ დასავლეთის შესახებ.

***– თუ ეს ნაბიჯი, რიგგარეშე არჩევნების სცენარის ნაწილია, მაშინ გამოდის, ეს არჩევნების ყველაზე მეტად „ქართულ ოცნებას“ აწყობს?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეს კიდევ უფრო დიდი ვნებათაღელვას და უფრო დიდ პოლიტიკურ კრიზის გამოიწვევს, რადგან მიშელის ე.წ. შეთანხმება სწორედ საარჩევნო სისტემას და მის ცვლილებას ეხებოდა. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო.

***– როგორც ამბობენ, „ოცნებამ“ სწორედ ამიტომ მოახდინა ამ დოკუმენტის ანულირება.***

– დიახ. ამიტომ არსებული, მოქმედი საარჩევნო სისტემით არჩევნების ჩატარება ნიშნავს მიიღონ ის შედეგი, რომელიც აწყობთ, მაგრამ ეს რამდენად გამოიწვევს პოლიტიკური სივრცის გაჯანსაღებას ან კრიზისის მოხსნას?! მე ვიტყოდი, უფრო პირიქით. ეს ბევრად უფრო დაძაბავს და ჩიხში შეიყვანს ხელისუფლებას. პოლიტიკურ კრიზის კი არ მოხსნის, არამედ უფრო გააღრმავებს. არა მგონია, ეს მათი ამოცანა იყოს, ამიტომ ეჭვი მეპარება, რომ მოვლენები ამ სცენარით ანუ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის სცენარით განვითარდეს.



ეს ძალიან სახიფათო თამაში იქნება არა მხოლოდ „ქართული ოცნებისთვის“, არამედ ქვეყნისა და მისი მომავლისთვის. ეს არ არის პოლიტიკურად საუკეთესო გამოსავალი. ალბათ ამას კარგად აცნობიერებენ „ოცნებაში“. არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ ამას არ მოყვება კარგი შედეგები. საარჩევნო სისტემის ცვლილების გარეშე, რაზეც იყო პოლიტიკური შეთანხმება, არა მგონია, რიგგარეშე არჩევნები ვინმეს აწყობდეს.

***– თუ ოპოზიცია, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი დატოვებს პარლამენტს?***

– „ლელომ“, კიდევ სხვებმა ეს განცხადება გააკეთეს, მაგრამ ასე ერთმნიშვნელოვანი განაცხადი ჯერ არ არის გაკეთებული მათი მხრიდან. ამიტომ, ეს შეიძლება ნიშნავდეს არა მაინცდამაინც მანდატების დატოვებას, არამედ პოლიტიკურ ბოიკოტს. ჯერ, როგორც ჩანს, ბოლომდე თვითონაც არ არიან ჩამოყალიბებული. რასაკვირველია, ეს გადაწყვეტილებაც, სხვა ბევრი მოქმედებაც ხელისუფლებასა და მათ გადადგმულ ნაბიჯებზე იქნება დამოკიდებული.

***– როგორია თქვენი მოლოდინი 3 ივლისის აქციისადმი?***

– 20 ივნისსაც და 24 ივნისსაც რუსთაველზე მხოლოდ თბილისი გავიდა. ეს ნიშნავს, რომ მმართველ პოლიტიკურ ძალას თბილისი მხარს არ უჭერს. თბილისს ვერ აკონტროლებს. აქციის ორგანიზატორები 3 ივლისს რეგიონებიდან მოქალაქეების ჩამოსვლაზე საუბრობენ. ეს ნიშნავს, რომ აქცია უფრო მრავალრიცხოვანი იქნება, მაგრამ რაც ახლა რეგიონებში ხდება, ეს ერთხელ კი არა, მრავალჯერ ნანახი გვაქვს. ვგულისხმობ იმ დაპირისპირებას, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს არც ევროკავშირთან და საერთოდ დასავლეთთან. ძალადობა, ერთმანეთისთვის ცხვირ-პირის დამტვრევა არ არის დასავლური ცივილიზაციის ნაწილი. ვილაცები კი ცდილობენ ევროპისთვის ძალადობის იარლიყის მიწებებას, მაგრამ ეს ის არის, რაც გვაშორებს ევროპასთან ყველას ერთად. დემოკრატიის ლოზუნგის ქვეშ საწინააღმდეგო ქმედებები, მხოლოდ საპირისპიროს მოუტანს მათ. შეუძლებელია ამას შედეგი ჰქონდეს. ძალადობა მხოლოდ ძალადობას შობს. 2012 წელს თუ გაიხსენებენ, ძალიან კარგი იქნება. ძალადობამ რა მოუტანა ყოფილ ხელისუფლებას, ვნახეთ. დემოკრატიას ალტერნატივა არ აქვს, ეს უნდა გააცნობიერონ.

# „ამ სიტუაციაში ვადამდელ არჩევნებს დავნიშნავდი“

## ანზორ აბრალავა: „რაც სუბარმა განაცხადა, იმაში ახალი და სენსაციური არაფერია. არ მესმის, რად უნდოდა ამას „ოცნებიდან“ გამოსვლა“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოში განვითარებული პროცესები დაკავშირებულია ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ ახალ რეალობაზე. „ახალი თაობა“ ამაზე ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.**

***– 3 ივლისს დაგეგმილია მორიგი აქცია. როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაკმაყოფილდა ერთიანი სახალხო მოძრაობის მიერ წამოყენებული მოთხოვნა მოქმედი მთავრობის გადადგომისა და მის მაგივრად ტექნიკური (ეროვნული თანხმობის) დროებითი მთავრობის ფორმირების შესახებ.***

– ბოლო დროს ხალხმრავალი აქციები გაიმართა. ბევრი ადამიანი გულწრფელია და ევროპული კურსის მხარდაჭერით გამოდის. საუბედუროდ, გულწრფელები არ არიან აქციის მთავარი ფარული ორგანიზატორები.

***– დააზუსტეთ.***

– აქციის ორგანიზატორები საზოგადოება და ახალი სახალხო მოძრაობა არ არიან. ამის უკან დგას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. „სირცხვილია“ ამ პარტიის ფილიალია. ვიმეორებ, ქუჩაში გამოდის ბევრი მოქალაქე ევროკავშირში ინტეგრაციის სოლიდარობის გამოსახატავად. ამ ადამიანებს გული დასწყდათ, რომ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატობაზე ამ ეტაპზე, უკრაინისა და მოლდოვასგან განსხვავებით, უარი უთხრეს. ამ ხალხზე არ ვამბობ. რეალურ ორგანიზატორებს ტექნიკური მთავრობა კი არა, ტექნიკური გადატრიალება უნდათ. შეცდომა შეიძლება ყველას მოუვიდეს. გაბრიყვებითაც შეიძლება ბევრი გაბრიყვდეს. აგერ, ნატოს სამიტზეც ითქვა, რუსეთთან დამოკიდებულებაში გავბრიყვდითო.

***– ნატოსა და რუსეთზე მოგვიანებით გადავიდეთ. ფიქრობთ, რომ სახელმწიფო გადატრიალება იგეგმება?***

– ამაში დარწმუნებული ვარ. მონახეს ახალი თემა, ახდენენ საერთაშორისო მხარდაჭერის იმიტაციას. დისკრედიტირებული ნაცმოძრაობა ნდობით არ სარგებლობს, მაგრამ უცხოეთშიც არიან ძალები, ცალკეული პიროვნებები, რომლებსაც სჭირდებათ გადატრიალება და ამაში ნაციონალური მოძრაობის გამოყენება.

***– საქართველოში მიმდინარე პროცესები გარეთ შექმნილი ახალი რეალობის გამოძახილია?***

– ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება. ფაქტობრივად, მიმდინარეობს მესამე მსოფლიო ომი. ყველაზე მკაფიოდ ეს ჩანს უკრაინის ტერიტორიაზე. მანამდე იყო სირია, ლიბია, ერაყი. მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი ჯერ კიდევ 2008 წელს გამოაშკარავდა. თებერვლიდან დაწყებულია ომის ცხელი ფაზა უკრაინაში.



***– ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბების მოთხოვნა რადიკალურია?***

– რადიკალური კი არის, მაგრამ ამ ხალხს სინამდვილეში ტექნიკური მთავრობაც არ აინტერესებს. როგორც გითხარით, ამათი მიზანი გადატრიალებაა. ნაცმოძრაობას ხალხი ვერ გამოჰყავდა. მოიფიქრეს სხვა ვარიანტი. გამოიყენეს ევროინტეგრაციის თემა და სხვებს მოაწყობინეს აქცია. პარტიები ხელისუფლებაში უნდა მოდიოდნენ კონსტიტუციური გზით, არჩევნების შედეგად და არა ძალადობით. არჩევნების წინ პარტიები ხალხს საკუთარ პროგრამებს უნდა აცნობდნენ. ნაცმოძრაობას 2003 წელი ახსოვს და ამის გამეორება უნდა. რამდენიმე თვის წინ, აკერმანთან ერთად ბაკურიანში განიხილეს ხელისუფლების დამხობის და სახელმწიფო გადატრიალების გეგმა.

***– კონსულტანტი პიტერ აკერმანი მას შემდეგ გარდაიცვალა.***

– გეგმა ხომ დასახეს?! აკერმანი გადაიცვალა, სხვა ტექნოლოგებს მოძებნიან. არიან ძალები, რომლებიც საქართველოს ომში ითრევენ. უკრაინელი ჩინოსნები მეორე ფრონტის გახსნისკენ მოგვიწოდებენ.

***– მოგვიწოდეს, მაგრამ საქართველო ამას ხომ არ დათანხმდა?***

– სურვილი დარჩა. დასავლელი პოლიტიკოსებისგანაც მოგვისმენია მოწოდებები, რომ საქართველომ რუსეთს უნდა ებრძოლოს, რომ შეიქმნას რკალი რუსეთის წინააღმდეგ.

***– უმრავლესობიდან გამოსული სამი დეპუტატიც დაახლოებით ამ გზავნილებს ახმაურებს. ამგვარი მინიშნებები და განცხადებები ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც გვსმენია და მისი მომხრეებისაგან, ასევე, პრორუსული ჯგუფებისგან.***

– რაც სუბარმა განაცხადა, იმაში ახალი და სენსაციური არაფერია. არ მესმის, რად უნდოდა ამას „ოცნებიდან“ გამოსვლა.

***– სამიოდე დეპუტატი რომ კიდევ გამოვიდეს უმრავლესობიდან, უმრავლესობა დაიშლება. იქნებ ეს და ვადამდელი არჩევნები შედის მმართველი პარტიის გეგმაში?***

– ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამ სიტუაციაში ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დავნიშნავდი. „ქართული ოცნების“ გეგმები არ ვიცი. გამორიცხული არაფერი არ არის. ოპოზიციას ესეც რომ შესთავაზო, ვერ დააკმაყოფილებ. იტყვიან, კოალიციური მთავრობა გვინდაო და ასე შემდეგ.

***– აქციები გაგრძელდება?***

– ყველა ადამიანი ინფორმირებული არ არის. ევროპული კურსის დაცვა მომგებიანი თემაა. შესაძლოა, ბევრი ხალხი შეკრიბოს. შესაძლებელია, ყველა, ვინც მანამდე იდგა ქუჩაში, აღარ გამოვიდეს.

***– რუსეთი რამდენიმე თვის წინ ნატოს ემუქრებოდა. დღეს რუსეთმა მიიღო ის, რომ ორი სახელმწიფო (ფინეთი და შვედეთი) ნამდვილად ხდება ალიანსის წევრი. გარდა ამისა, ნატო საგრძნობლად ზრდის თავის შეიარაღებას და კონტინგენტს ევროპაში. რუსეთი მოგებული ვერ იქნება?***

– ომი ისეთი რამაა, რომ ომში მოგებული ვერავინ იქნება. ომში ყველა წაგებულია. რუსეთს თავისი გლობალური ინტერესი აქვს, ნატოსა და ევროკავშირს – თავისი. ნატოსა და ევროკავშირის ინტერესი ხანდახან ერთმანეთს არ ემთხვევა. საკუთარ ქვეყანაში საომარი მოქმედებები არავის უნდა. ამიტომ ორთაბრძოლა მიმდინარეობს უკრაინის ტერიტორიაზე. ახლანდელი ომი განსხვავებულია. მიმდინარეობს დარტყმები შორ მანძილზე. ცოტა ხნის წინ ამოცანა იყო ომის გადატანა რუსეთის ტერიტორიაზე.

***– ეს ამოცანა სულ მოიხსნა?***

– მასში კორექტივები შეიტანეს. აშშ-ის პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ ბრძოლები რუსეთში არ გადავა. არსებობს ბირთვული საფრთხე. ჰიროსიმასა და ნაგასაკიში იყო ამის პრეცედენტი. რუსეთი ბირთვულ დარტყმას უკრაინას არ მიაყენებს, ვინაიდან ამით თვითონაც დაზიანდება.

***– ვინ შეიძლება გახდეს ბირთვული თავდასხმის სამიზნე?***

– თუ რუსეთმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, დარტყმებს ამერიკის კონტინენტს მიაყენებს და სამიზნე გახდება აშშ. ვცხოვრობთ ახალ რეალობაში. სხვა მსოფლიოში. ვითარება ლამის ყოველდღე იცვლება. 10 დღის წინ სხვა მსოფლიო გვქონდა, დღეს – სხვაა. ნატოც არ არის ერთგვაროვანი ორგანიზაცია. თურქეთი და საბერძნეთი ნატოს წევრები იყვნენ, როცა თურქეთმა დაიპყრო ჩრდილოეთ კვიპროსი, რის შემდეგაც საბერძნეთმა ორგანიზაცია დატოვა. ძალიან რთულ დროში ვცხოვრობთ და სიფრთხილე გვმართებს.

# ვატო წერეთელი: „ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე „ოცნების“ დეპუტატები დამესხნენ თავს და ფიზიკურად გამისწორდნენ“

ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე „ოცნების“ დეპუტატები დამესხნენ თავს და ფიზიკურად გამისწორდნენ, – ამის შესახებ „ტვ პირველის“ დამფუძნებელმა ვატო წერეთელმა „რეაქციაში“ პირდაპირი ჩართვისას განაცხადა.

„აქ საგიჟეთია. ამ ქვეყანაში კი არა, ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე „ქართული ოცნების“ დეპუტატები დამესხნენ თავს და ფიზიკურად გამისწორდნენ. ეს ხდება ამერიკის საელჩის ეზოში, სადაც იყო მოწვეული 200 ან 300 სტუმარი. შოკში ვარ, ეგეთი რამე არ ვიცი. ეს რომ აშშ-ის საელჩოს ეზოში ხდება, გარეთ რა ხდება, ხომ წარმოგიდგენიათ?! მივმართავ კელი დეგნანს, საელჩოს ტერიტორიაზე გამისწორდნენ ფიზიკურად, კეთილი ინებეთ და გაასაჯაროვეთ კადრები, მედიას მიეცით კადრები“ – განაცხადა ვატო წერეთელმა.



**ანრი ოხანაშვილმა მოგვიანებით განაცხადა:**

– უბინძურეს პროვოკაციას ჰქონდა ადგილი, უბინძურესს, წერეთლის მხრიდან. მიღებაზე ყოფნის დროს მოვიდა, მთხოვა, ორი სიტყვით რაღაცის თქმა სურდა, უბინძურესი პროვოკაცია მოაწყო, ხომ წარმოგიდგენიათ, რაზეა საუბარი?! სწრაფი ნაბიჯით გაიქცა. მინდოდა მეკითხა, რატომ იკადრა ასეთი რაღაცა, რაზეც გააგრძელა პროვოკაცია, შემდგომ, რა თქმა უნდა, პასუხი გავეცი და მიიღო ის პასუხი, რომელსაც ის იმსახურებდა.

საუბარია უბინძურეს პროვოკაციაზე, რომელსაც ვერც ერთი ქართველი ვერ აიტანს და ამას მოჰყვა მცირე შეხლა-შემოხლა, ეს იყო და ეს. კამერები, წესით, უნდა იყოს ყველგან და იმედი მაქვს, რომ აბსოლუტურად ყველაფერი ასახულია კამერაზე.

# „სამი დეპუტატის წასვლა „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციას არ ემსახურება“

## დათო ლორთქიფანიძე: „საინტერესოა, ხუნდაძეს, სუბარსა და ყაველაშვილს საზოგადოებისთვის სათქმელი რა აქვთ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.



***— ბატონო დათო, რა ხდება „ქართული ოცნების“ კულისებში ისეთი, რამაც პარტიას სამი დეპუტატი დააკარგვინა?***

— მათთან კომუნიკაცია არ მქონია, მაგრამ როგორც თქვეს, რეალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის სიმართლის მიწოდების ხარისხი არ აკმაყოფილებთ. ისინი გავიდნენ პარტიული ჩარჩოებიდან და, როგორც დამოუკიდებელ დეპუტატებს, მეტი სიმართლის თქმის საშუალება მიეცათ.

***— რა სიმართლის?***

— რაც აქამდე ხდებოდა, იმ საკითხებზე მეტი სიმართლის თქმაზეა საუბარი. აწი რაც მოხდება, იმაზე რას იტყვიან, ამას დრო გვიჩვენებს, რადგან აქამდე რაც ხდებოდა, გასაგებია, მაგრამ აწი რაც მოხდება, იმაზე ინფორმაცია საიდან უნდა გაიგონ, არ ვიცი.

***— რაღაც უცნაური ხდება. მათ განაცხადეს, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის თემა იყო ერთგვარი სათაგური, რომელშიც საქართველოს თავი შეაყოფინეს და შემდეგ წევრობაზე უარი უთხრეს, რაც კი ხელისუფლებისაგან „ოცნების“ ჩამოცილებასა და რევოლუციაზე იყო გათვლილი. ეს თქვენ როგორ გესმით?***

— სანამ სამივე ჩემს მეგობარსა და კოლეგას (რომლებთანაც ათწლიანი ურთიერთობა მაკავშირებს) არ შევხვდები, არ ვისაუბრებ, არ მინდა ისეთი კომენტარები გავაკეთო, რომელმაც შეიძლება საერთო საქმე დააზიანოს.

***— ვინც არ იცის, რეალურად, კულისებში რა ხდება, სუბარი-ყაველაშვილი-ხუნდაძის სვლას საზოგადოება როგორ გაიგებს?***

— ჩემი აზრით, ისინი, ალბათ, გულისხმობენ (თუ არ გულისხმობენ, რაღაც მოსაზრებები შეიძლება მივაწოდო, რომელიც შეიძლება გამოიყენონ) ჩვენს გადაწყვეტილებას, 2024 წლის ბოლოსთვის ევროკავშირის წევრობის განაცხადის შეტანის ანონსზე. ეს იმას ნიშნავს, საქართველოს მთავრობას განსაზღვრული ჰქონდა, რა როდის უნდა განეხორციელებინა.

„ოცნების“ ლიდერებს მიაჩნდათ, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსისთვის 2024 წელს მზად იქნებოდა და განაცხადს შეიტანდნენ, მაგრამ თებერვლის ბოლოს, უკრაინაში საომარი მოქმედებები დაიწყო, ამან პროცესი მექანიკურად თუ ხელოვნურად, არაბუნებრივად დააჩქარა, ჩვენც უკრაინასა და მოლდოვას ფეხი ავუწყეთ და 3 მარტს განაცხადი შევიტანეთ.

***— რა ავნო ქვეყანას დაჩქარებული წესით განაცხადის შეტანამ?***

— ზუსტად ამის ახსნას ვცილობ. როგორც ჩანს, 2024 წლამდე გასავლელი პერიოდი, პატარა არ არის. ამ პერიოდში, ალბათ, ხელისუფლება უპასუხებდა იმ გამოწვევებს, რაც არსებობს და რეალობა სხვა იქნებოდა. მაშინ კანდიდატის სტატუსის მიღება, ალბათ, პრობლემა არ გახდებოდა.

დღევანდელ მოცემულობაში სხვა შედეგი დადგა. ალბათ, „ოცნების“ დამტოვებელი ჩემი მეგობარი კოლეგები ფიქრობენ, რომ ეს იყო სატყუარა.

***— რა სატყუარა?***

— რეალურად, ქვეყანა ამისთვის მზად არ იყო და ამ შემთხვევაში სამივე ქვეყნის მიმართ პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო. თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული, მაშინ ვერც უკრაინა, ვერც მოლდოვა და ვერც საქართველო კანდიდატი ქვეყნები ვერ გახდებოდნენ.

***— მეც გამიჩნდა კითხვა: წინასწარ ხომ იცოდნენ, საქართველოში როგორი ვითარება იყო და თუ ჩვენი ქვეყნისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ უნდა მოენიჭებინათ, მაშინ რატომ შემოგვთავაზეს? თვითონ შემოგვთავაზეს განაცხადის შეტანა და თვითონვე გვითხრეს უარი. რატომ?***

— საქმეც ეგაა. საქართველოს ხელისუფლებამ ეს წინადადება პატიოსნად, თავმდაბლურად მიიღო. რადგან პოლიტიკური მდგენელი ჭარბობდა. ჩათვალა, რომ მათ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში ჩვენს მისწრაფებას გაითვალისწინებდნენ და მხარს დაგვიჭერდნენ, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ასე არ იყო. მხოლოდ უკრაინასა და მოლდოვას დაუჭირეს მხარი.

ნებისმიერი პარამეტრით, რომელიც გაზომვადია დემოკრატიის, თავისუფლების, ევროპასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის კუთხით, სამ ქვეყანას შორის, ჩვენ უკანასკნელი ქვეყანა არ ვართ, თუ ლიდერი არა.

ამ შემთხვევაში ჩვენ არასამართლიანად მოგვექცნენ. კითხვის ნიშანი არსებობს. ყველას აქვს უფლება, ამას თავისი ქმედებით უპასუხოს. ზოგმა შეიძლება თანამდებობა დატოვოს, ზოგი პარტიიდან გავიდეს, ზოგს შეიძლება რაიმე იერარქიული საფეხური არ ჰქონდეს დასატოვებელი, მაგრამ საკითხისადმი დამოკიდებულება და მიდგომა შეიცვალოს, მაგრამ არა ევროინტეგრაციის საზიანოდ.

საინტერესოა, პროცესი როგორ განვითარდება და სამეულს – ხუნდაძეს, სუბარსა და ყაველაშვილს საზოგადოებისთვის სათქმელი რა აქვთ.

***— მართლაც, ეს სამეული მმართველ გუნდში თუ არ იქნება, საიდან გაიგებს, რა ხდება კულისებში?***

— ამის შესახებ არაფერი უთქვამთ, მაგრამ კითხვა გამიჩნდა: თუ აქამდე ისეთი რამ იყო, რომლის გასაჯაროვება ქართული საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გასაჯაროვდეს. დემოკრატიული ქვეყანა ვართ, საზოგადოების ინფორმირებულობის არ უნდა გვეშინოდეს. რაც მეტად იქნება ჩვენი საზოგადოება ინფორმირებული, ამა თუ იმ პოზიციას მით მეტად გაიზიარებენ ან უარყოფენ. მხოლოდ ერთი მიმართულებით ჩაციკლული არ უნდა ვიყოთ, ორივე მიმართულებით ვიფიქროთ.

***— „ოცნება“ ისეთმა პიროვნებებმა დატოვეს, რომლებიც ყველაზე მეტად აქტიურები იყვნენ. იგივე ტელევიზიის საშუალებით აზრს ყველაზე მეტად მათ ეკითხებოდნენ. ახლა მათ განცხადებაში თქვენთვის რამე ახალია, რაც არ გაგიგიათ?***

— ჩემთვის ახალი ისაა, რომ ამ განცხადებას ეს სამი ადამიანი აკეთებს. თვითონ განცხადების შინაარსში ახალი ბევრი არაფერია. უბრალოდ, ეს განცხადება ტოვებს განცდას, რომ ამას მოჰყვება ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ამ სვლას აზრი არ აქვს. ჩვენი ამომრჩევლის თვალში მათი მოქმედება რამდენად იქნება რელევანტური და მათ გემოვნებას სალბუნად რამდენად დაედება, სხვა თემაა.

ვიღაცას შეიძლება უნდოდეს ამ სამი დეპუტატის მიერ „ოცნების“ დატოვების გაუბრალოება, მაგრამ სამივე დეპუტატი პარლამენტის ბიუროს წევრია, სამივე პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეა. ამაზე მაღალი რანგი ქართულ პარლამენტარიზმში არ არსებობს. საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ, პარლამენტის სამი კომიტეტის თავმჯდომარე ტოვებს პოსტს, ფრაქციას და დამოუკიდებელ დეპუტატებად გადიან. ეს სერიოზული პოლიტიკური დღის წესრიგია.

***— ანუ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე უარის თქმამ არა მარტო ოპოზიცია გააქტიურა, არამედ დისონანსი შეიტანა თვით „ქართულ ოცნების“ გუნდის ერთიანობაშიც?***

— შეიძლება ასე ვთქვათ, რადგან ეს მოცემულობაა. ვინც მიცნობს, დამეთანხმება, რომ სირაქლემას პოზაში არასოდეს ვყოფილვარ. რეალობაა ის, რომ პოლიტიკური მდგენელი, რითაც ჩვენი მმართველი პოლიტიკური ძალა წარმოგვიდგებოდა, სამი საკმაოდ სერიოზული, წონიანი პოლიტიკური მოთამაშის გარეშე დარჩა. ეს უმნიშვნელო რამ არ არის. საინფორმაციო ელექტრონულ მედიაში გავიგონე, სადღაც დაიწერა, ეგენი რა პოლიტიკური ფიგურები არიანო. ბოდიში, მაგრამ სოზარ სუბარი და ჩვენ წინა რეჟიმთან ბრძოლის პირველივე დღეებიდან ერთად მოვდივართ. დიტო მაშინ პოლიტიკაში არ იყო, ექიმი გახლდათ. მისი პოლიტიკური დაბადების მოწმობა „ოცნების“ დაბადების მოწმობას ემთხვევა. მან თავის სპეციალობაზე უარი თქვა და პოლიტიკოსი გახდა

მიშა ყაველაშვილი მოქმედი ფეხბურთელი იყო, რომელიც უცხოეთში თამაშობდა (ბოლოს შვეიცარიაში თამაშობდა), საქართველოში არ იმყოფებოდა. ბუნებრივია, ის საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ჩართული ვერ იქნებოდა. როცა საფეხბურთო კარიერა დაამთავრა, საქართველოში დაბრუნდა. იმ დროიდან პოლიტიკურ ბატალიებშია ჩართული. ამის გაბაიბურება და ამ ხალხის რანგის დაქვეითება, არა მგონია სწორი იყოს. თქვეს, ეგენი ვინ არიანო.

***— იმ მრავალრიცხოვან მიტინგებზე, რაც ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნით ჩატარდა, ბოლოს გაჩნდა მთავრობის გადადგომის მოთხოვნა. მეორე მხრივ, ამ ვითარებაში სამი დეპუტატის მიერ „ოცნების“ დატოვება იმის მანიშნებელი ხომ არ არის, რომ ისინი ფიქრობენ, „ოცნება“ წამსვლელია, გემი ჩასაძირადაა გამზადებული და...***

— გემი იძირება და ვირთხები გარბიან?!

***— ვირთხები არ მინდა ვუწოდო.***

— არა, მაგას არ ვფიქრობ. ვფიქრობ, ცდილობენ ქართულ პოლიტიკაში რაღაც ახალი შემოიტანონ. წინააღმდეგ შემთხვევაში არა მგონია, ისინი რევერანსებით წასულიყვნენ – მათ თქვეს, რომ წინააღმდეგობა არაფერში აქვთ, გარდა ინფორმაციის არ გასაჯაროვებისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მოქმედებას არ აპირებენ.

ასე უწერიათ. ამიტომ შემიძლია ცალსახად ვთქვა, მათი ეს ნაბიჯი „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციას არ ემსახურება.

***— აბა, რამე შიდა თამაშია?***

— არა, არა. ეს ძალიან მოკლე დროში გამოჩნდება. შეგიძლიათ ჩემი სიტყვა დაიმახსოვროთ, ერთ თვეში დამიკავშირდეთ და მაშინ ღიად გეტყვით.

# რომელი სახეობის ყურძნის სუბსიდირება იგეგმება წელს

წელს საქართველოში რთველის მასობრივი სუბსიდირება არ მოხდება. თუმცა, როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა „ბიზნეს პალიტრას“ ეთერში განაცხადა, ნაწილობრივი სუბსიდირება იქნება, განსხვავებული მიდგომებით.

მისი თქმით, წელს, სავარაუდოდ, დაფინანსება შეეხება უშუალოდ თეთრ ყურძენს, რადგან მოცემული მიმართულება კრიზისშია.

– პირდაპირ გეტყვით, რომ ჯერჯერობით რთველის სუბსიდირების ზუსტ ფორმაზე შეთანხმება არ მომხდარა. დღესდღეობით ჩვენთვის მთავარი საექსპორტო პროდუქტი არის წითელი ღვინო. სწორედ ამიტომ ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ როგორც გასულ წლებში, ისე მიმდინარე წელსაც, წითელი ღვინის მიმართულებით არ ჩავერიოთ და შევინარჩუნოთ სრულიად თავისუფალი ბაზარი, სადაც მოთხოვნა-მიწოდება არეგულირებს მთლიანად თამაშის წესებს.

თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ არსებულ რეალობაში სასპირტე მიმართულება ყურძნისეული ექსპორტის შემცირებიდან გამომდინარე საკმაოდ მძიმე კრიზისშია. თეთრი ყურძენი, არის სასპირტე მიმართულება. შესაბამისად, ვფიქრობთ, რაიმე ფორმით აუცილებლად დაგვჭირდება მთავრობის ჩარევა, მათ შორის, სუბსიდიის მიმართულებით, ან შევიმუშავოთ რაიმე კომპლექსური მიდგომები, – აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან მეხუზლამ.

# თენგიზ ფხალაძე: „2014 წლიდან 2018 წლამდე ნატო-ს ყველა სამიტში მაქვს მონაწილეობა მიღებული“

– თუ გინდა რუსეთთან ურთიერთობების დალაგება, უნდა გახდე ნატო-ს წევრი. როგორც კი ნატო იღებს გადაწყვეტილებას, რუსეთის რიტორიკა რჩება რიტორიკად. იგივე არის საქართველოს შემთხვევაშიც.

ამის შესახებ ბრიუსელის საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის ევროპული ცენტრის უფროსმა მკვლევარმა, ჯიპა-ს ასოცირებულმა პროფესორმა, თენგიზ ფხალაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა.

როგორც ფხალაძემ აღნიშნა, ცოტა ხნის წინ გამართული ნატო-ს მადრიდის სამიტი ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო.

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიტი იყო ნატო-ს ისტორიაში ბევრი მიზეზის გამო – პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს იყო გაფართოების სამიტი, თანაც იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ერთი წლის წინ ნატო-ს გაფართოებას არავინ ელოდა. ორი ნეიტრალური სახელმწიფო: შვედეთი და ფინეთი, რომელთაც გადაწყვიტეს რუსეთის მზარდი აგრესიის ხარჯზე მიეღოთ უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, ყველა კანდიდატს ასწრებენ და ხდებიან ნატო-ს წევრები. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი სამიტი იმიტომ, რომ ყბადაღებული მაპის ეპოქა დასასრულს უახლოვდება, თუ უკვე არ დამთავრდა, რადგან პრეცედენტი იქნა დაშვებული. ასევე საუბარი იმის შესახებ, რომ ნატო-ს ინფრასტრუქტურა და ნატო არ გაფართოვდება ისე, რომ რუსეთთან მეტი საზღვარი ჰქონდეს, ამაზე საუბარი უკვე აღარ არის.

ყველაზე მეტი ნატო საზღვართან ახლა მიიღო რუსეთმა. მესამე მომენტია, რომ ეს იყო ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფციის დამტკიცება და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ნატო-რუსეთის ურთიერთობებში პირველად რუსეთი ჩაიწერა, როგორც საფრთხე. აქამდე არც ერთ სტრატეგიულ დოკუმენტში რუსეთი არასდროს განხილულა, როგორც საფრთხე. აქამდე პარტნიორადაც კი იყო წარდგენილი. დარწმუნებული ვარ, რომ მადრიდის სამიტის შედეგები ძალიან დიდხანს წინ დაგვხვდება კარგი გაგებით და ის ჩანაწერი, რომელიც სტრატეგიულ კონცეფციაში ჩვენ შესახებ არის, იმ ჩანაწერის რეალიზაციასაც ვიხილავთ, – განაცხადა ფხალაძემ.

ის ასევე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ყატარის ყოველწლიური ეკონომიკურ ფორუმზე გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ „ჯერ ტერიტორიული პრობლემები უნდა გადავჭრათ და მერე გავხდეთ ნატო-ს წევრი“.



– ხაზგასმით და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არც ერთხელ, არც ერთი ჩვენი პარტნიორის მხრიდან არ ყოფილა განცხადება იმაზე, რომ საქართველო ვერ გახდება ნატო-ს წევრი ოკუპირებული ტერიტორიებით. შეიძლება ცალკეულ ექსპერტს ასეთი მოსაზრება გამოუთქვამს, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ასეთი რამ არსად გაჟღერებულა.

როდესაც გვესმის, რომ ზოგიერთ პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ ჯერ საქართველომ უნდა აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა და მერე ნატო-ზე ილაპარაკოს, ჩვენ ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ინტეგრაციის ათვლის წერტილი არის მოცემულობა, როდესაც ნატო-ს ძალიან კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, მაგრამ არავის უთქვამს, რომ „ჯერ აღადგინეთ ტერიტორიული მთლიანობა და მერე შემოიტანეთ განაცხადი“. თუკი საქართველოს საკითხს ასე შემოვატრიალებთ, ეს მხოლოდ საქართველოს დააზარალებს.

2014 წლიდან 2018-მდე ნატო-ს ყველა სამიტში მაქვს მონაწილეობა მიღებული და ყველა უმაღლესი დონის შეხვედრაზე. არსად, არც ერთი სამიტისა და შეხვედრის შედეგად არ მახსოვს ასეთი სუსტი ჩანაწერი საქართველოსთან დაკავშირებით ფინალურ დოკუმენტში, რომ ხსენებული არ ყოფილიყო ტერიტორიული მთლიანობა, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებები, საქართველოს პროგრესი და ა.შ. ეს ჩვენი მინუსია, რადგან ნატო-მ თავისი დამოკიდებულება გამოხატა სტრატეგიულ კონცეფციაში, რომლითაც 10 წელი უნდა იხელმძღვანელოს. ეს არის ჩვენი სუსტი მუშაობის შედეგი და მუშაობა არ ხდება მხოლოდ სამიტზე. ეს ნიშნავს ყველა წევრ სახელმწიფოსთან მუშაობას, რადგან თითოეული სიტყვა უნდა შეთანხმდეს და მას ხმა უნდა მისცეს უკვე 32-ვე ქვეყანამ, – განაცხადა ფხალაძემ.

მისივე თქმით, რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად აუცილებელია ნატო-ში გაწევრიანება.

– თუ გინდა რუსეთთან ურთიერთობების დალაგება, უნდა გახდე ნატო-ს წევრი. პუტინის ერთი თვის წინანდელი განცხადებები ამოიღეთ – როგორ ემუქრებოდა ფინეთსაც და შვედეთსაც, რომ „ამას [ნატო-ში გაწევრიანებას] მოჰყვება ჩვენი ღირსეული პასუხი“ და ა.შ. როგორც კი ნატო იღებს გადაწყვეტილებას, რუსეთის რიტორიკა რჩება რიტორიკად. იგივე არის საქართველოს შემთხვევაშიც. ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან აქტიურები, უნდა ვაჩვენოთ, რომ ვართ მზად, რომ ჩვენ გვაქვს ეროვნული თანხმობა არა მხოლოდ იმაზე, რომ ნატო გვინდა, არამედ იმაზეც, თუ როგორ გვინდა ის – როგორ უნდა გაწევრიანდეს საქართველო ნატო-ში, როგორი უნდა იყოს ჩვენი თავდაცვის სისტემა, როგორი უნდა იყოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემა და რაც ყველაზე მთავარია – რა არის ის უნიკალური როლი, რომელსაც საქართველო შეიტანს ამ საერთო უსაფრთხოებაში. ჩვენ თუ ამისთვის მზად ვართ და ვართ აქტიურები, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება მართლაც რეალობაა. ამას სჭირდება ძალიან სერიოზული, დაუღალავი მუშაობა ყველა პარტნიორთან და შედეგი აუცილებლად დადგება, – განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

# ხატია დეკანოიძეს და ლევან ხაბეიშვილს ოზურგეთში თავს დაესხნენ



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ხატია დეკანოიძეს და ლევან ხაბეიშვილს ოზურგეთში თავს „ქართული ოცნების“ დეპუტატები და მერიის თანამშრომლები დაესხნენ.

თავდასხმა 29 ივნისს, ოზურგეთის საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე, საქართველოს ეროვნული გმირის, ზაზა დამენიას საფლავთან მოხდა.

შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა პარლამენტის დეპუტატები ადგილობრივ მოსახლეობასთან და მხარდამჭერებთან შეხვედრას მართავდნენ. შეხვედრისას წამყვანებთან „ქართული ოცნების“ დეპუტატები და აიპის თანამშრომლები მიიჭრნენ და ხალხს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია, თუმცა პოლიციელები სამსახურებრივი მანქანებიდან არ გადმოსულან.

# ბორჯომში ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სრულად გაიზიარა და ერთი პირის განზრახ მკვლელობის და გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

მათივე ცნობით, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 28 ოქტომბერს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, კ.ს.-მ სანადირო თოფიდან რამდენჯერმე გასროლით თანასოფლელ მამაკაცს ჭრილობები მიაყენა, რომელიც მიღებული დაზიანებებით ადგილზე გარდაიცვალა. აღნიშნულის შემდეგ, ბრალდებულმა, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით მეუღლეს დანით ჭრილობები მიაყენა. დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად დაზარალებულის გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცავებმა კ.ს. დანაშაულის ჩადენიდან მალევე დააკავეს.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11პრიმა, 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ პრიმა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, ორი პირის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით) ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# შაურმა ჭამა და ქალი 1 საათში დაიღუპა

## რა მოხდა თბილისში



თბილისში ახალგაზრდა ქალი ტრაგიკულად დაიღუპა. ახლობლების ინფორმაციით, მისი გარდაცვალების მიზეზი შაურმით ინტოქსიკაცია გახდა.

არსებული ინფორმაციით, შაურმის ჭამიდან ერთ საათში ქალი ცუდად გახდა. როგორც ამბობენ, მოწამლული ქალი კლინიკაში დაგვიანებით გადაიყვანეს.

უკვე სისხლი ჰქონია მოწამლული, რადგან ძლიერი ინტოქსიკაცია იყო და დაიღუპა. მედიკოსებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ოჯახი ახლა ექსპერტიზის შედეგებს ელოდება.

# „სირცხვილიას“ ოფისზე თავდასხმაზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები

შინაგან საქმეთა სამინისტროში პროკურატურის ზედამხედველობით აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს როგორც ორგანიზატორთა გამოვლენის, ისე ჯგუფური ძალადობის სხვა მონაწილე პირთა დადგენა-გამოვლენის მიზნით.

ამის შესახებ პროკურორმა თამარ იაკობიძემ თბილისის სააპელაციო სასამართლოსთან განაცხადა, სადაც 5 ივლისს, „სირცხვილიას“ ოფისზე თავდასხმის ეპიზოდის განხილვა მიმდინარეობს.

პროკურორის თქმით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აქამდე მიღებული გადაწყვეტილება მკაცრი იყო.

„საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იყო მკაცრი 6-ვე ბრალდებულის მიმართ. ბრალდების მხარემ გაასაჩივრა მხოლოდ ერთ მსჯავრდებულთან მიმართებით, რომელსაც 117-ე მუხლი გადაუკვალიფიცირდა 126-ე მუხლზე, რაც სასამართლომ ახსნა იმით, რომ არ არსებობდა შესაბამისი სამედიცინო დასკვნა.

რაც შეეხება იმას, რომ ექვსივე მსჯავრდებულის ადვოკატი ასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ამაზე ბრალდების მხარის პოზიცია არის უცვლელი, რომ საქმეში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები და ის ობიექტურად შეაფასა სასამართლომ“ – განაცხადა თამარ იაკობიძემ.

ცნობისთვის, მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისზე 2021 წლის 5 ივლისს მომხდარი ჯგუფური თავდასხმისა და ძალადობის ეპიზოდზე დაკავებულია 6 პირი. მათ 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

# დიანა ბერიძის მკვლელობაში ბერძენი ქირურგი დამნაშავედ ცნეს



36 წლის ქართველი ქალის, დიანა ბერიძის მკვლელობაში ბრალდებული ბერძენი ქირურგი ნაფიცმა მსაჯულებმა ერთხმად დამნაშავედ ცნეს.

ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს.

გამოცემა წერს, რომ 36 წლის სამი შვილის დედამ კლინიკას ვარიკოზული ვენების მოსაშორებელი ოპერაციისთვის მიაკითხა. საქმის მასალების მიხედვით, ექიმმა ის კლინიკის მიტოვებულ ნაწილში წაიყვანა და პროცედურისთვის არასაჭირო ორი ძლიერი საანესთეზიო პრეპარატი გაუკეთა. სწორედ ამან შეუქმნა პაციენტს რესპირატორული პრობლემები, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია.

ბრალდებულმა, დახმარების თხოვნის ნაცვლად, 36 წლის ქალის გვამი მანქანაში ჩადო, ჰალკიდიკის რეგიონში წაიღო და კლდიდან გადააგდო. სწორედ იქ იპოვეს გვამი რამდენიმე დღის შემდეგ.

ბრალდებულმა სხდომის დაწყებისას განაცხადა, რომ შემთხვევა ტრაგიკული სამედიცინო შეცდომა იყო.

– „ეს იყო ტრაგიკული სამედიცინო შეცდომა, რაზეც ძალიან ვწუხვარ. არ მქონია მისი მოკვლის განზრახვა. არ მქონია განზრახვა, რომ რაიმე ზიანი მიმეყენებინა დიანასთვის, მით უმეტეს, მომეკლა, – თქვა მან.

# სასამართლოში კარტოგრაფების საქმეზე ორი მოწმე დაიკითხა



ე.წ. კარტოგრაფების საქმის პროკურორის მიხეილ სადრაძის განცხადებით, 29 ივნისს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ორი მოწმე დაიკითხა.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ერთი მოწმის მიერ მიცემული ჩვენება შეეხებოდა კომისიის საქმიანობას.

პროკურორის განმარტებით, მეორე მოწმის ჩვენება უმთავრესად შეეხებოდა სამართლებრივ ანალიზს, თუ როგორ ხდებოდა საზღვრის ცვლილება.

– ორი მოწმე დაიკითხა. ერთი მოწმის მიერ მიცემული ჩვენება შეეხებოდა კომისიის საქმიანობას. ამ მოწმის ჩვენებით და სხდომის ოქმით, ძალიან მარტივად დასტურდება ის, რომ იმ პერიოდში კომისია, მათ შორის ბრალდებული ივერი მელაშვილი, ყველა თანხმდებოდა, რომ დავითგარეჯთან საზღვარი არ უნდა ყოფილიყო გავლებული თხემზე და ეს სამართლიანად ეწინააღმდეგებოდა წინარე პერიოდის რეალობას. ამის საწინააღმდეგო არავის დაუმტკიცებია.

ასევე, ძალიან ბევრ მონაკვეთთან დაკავშირებით, სადაც რეალურად, საქართველოს უფრო მეტი ტერიტორია ჰქონდა, ვიდრე შეიძლება იმ დროისთვის ფაქტობრივი მოცემულობა ყოფილიყო. ამისთვის კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ მთელი საარქივო მასალა მოეძია იმისთვის, რომ საქართველოს პოზიციები მყარი ყოფილიყო, მათ შორის ეს საარქივო მასალა უკავშირდებოდა 20-იანი წლებიდან მოყოლებულ პერიოდს. კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ ამ შეხვედრაზე, ბრალდებულ ივერი მელაშვილს რაიმე განსხვავებული არ დაუფიქსირებია გარეჯთან დაკავშირებით. ანუ, იმ პერიოდში, კომისია და ივერი მელაშვილი, ყველა თვლიდა, რომ თუ გარეჯზე საზღვრის ხაზი თხემზე გავიდოდა, ეს სწორი არ იყო. რეალურად, ივერი მელაშვილის მიერ გამოყენებული რუკები, დოკუმენტები და ა.შ. რაც მან შეადგინა, სწორედ ასე აჩვენებს, რომ თითქოს საზღვარი არის თხემზე, – განაცხადა სადრაძემ.

ცნობისთვის, გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი – ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა დააკავა. პროკურატურის ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემულ რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის დავითგარეჯთან მიმართებაში. სახელმწიფო ბრალდების ცნობით, ბრალდებულები განზრახ, ზემდგომი პირების დავალებების შესაბამისად მოქმედებდნენ. ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა თბილისის საქალაქო სასამართლომ სხდომათა დარბაზიდან გასული 2021 წლის 28 იანვარს გაათავისუფლა. მოსამართლემ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20.000-20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა.

# ყვარლის ტყეში 68 წლის მამაკაცის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე დაკავებული პირების ოჯახებს ადგილობრივებმა სოფელი დაატოვებინეს




გავრცელებული ინფორმაციით, ყვარლის ტყეში 68 წლის მამაკაცის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე დაკავებული პირების ოჯახებმა სოფელი დატოვეს.

ადგილობრივების თქმით, ასეთი ფაქტი მათ სოფელში არასდროს მომხდარა და მსგავსი პირები მოსახლეობაში არ უნდა იყვნენ.

მათივე ცნობით, ერთ-ერთ ბრალდებულს, სანამ პოლიცია დააკავებდა, სოფლის მოსახლეობა ფიზიკურად გაუსწორდა.

– ადგილობრივებმა, როგორც კი გაიგეს ამ ფაქტის შესახებ, ერთ-ერთი პირი სახლიდან გამოიყვანეს, წაიყვანეს და სცემეს. მეორე უკვე დაკავებული იყო. არ ვაპატიებთ ასეთ რამეს. დიდი ხანია ამ მხარეში ასეთი რამ არ მომხდარა, ყველა გაოგნებულები ვართ, – აღნიშნა ადგილობრივმა „ტვ პირველთან“ საუბრისას.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პროკურატურამ ყვარლის მუნიციპალიტეტში მომხდარი ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების, ძარცვის, გამოძალვის, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა. პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები 26 და 27 ივნისს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ მუხლებით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 144 მესამე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ნაფიცმა მსაჯულებმა კიდევ ერთი გამამართლებელი ვერდიქტი ერთხმად მიიღეს



თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა, სულხან კომახიძემ და ამავე ბიუროს ადვოკატმა, გოგა ბოგვერაძემ, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესზე, თორმეტივე ნაფიცი მსაჯული დაარწმუნეს ბრალდებულ ბ.კ.-ს უდანაშაულობაში და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებინეს. ამის შესახებ ინფორმაციას იურიდიული დახმარების ბიურო ავრცელებს.

მათი ცნობით, ბრალდების მხარემ 2021 წლის დეკემბერში მიმართა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს და მოითხოვა ბ.კ.-ს ინტერესების დაცვა (სავალდებულო დაცვა – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად), რადგან მას ბრალი წარედგინა ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას განეკუთვნებოდა.

„სახელმწიფო ბრალდება ბ.კ.-ს ბრალს დებდა 2014-2017 წლებში გენდერული ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით სისტემატურ ცემასა და სხვაგვარ ძალადობაში, რამაც დაზარალებულის ფსიქიკური და ფიზიკური ტანჯვა გამოიწვია, ჩადენილი წინასწარ შეცნობით ორსული ქალის მიმართ, არასრულწლოვანის თანდასწრებით.

დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში ბ.კ.-ს 4 -დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

საზოგადოებრივი ადვოკატები თავიდანვე ჩაერთნენ ბენეფიციარის ინტერესების დაცვის საქმეში. მათ სასამართლოს წარუდგინეს 2 მოწმე, რომლებიც ბრალდების მხარის საწინააღმდეგო ვერსიას ამტკიცებდნენ და გამორიცხავდნენ ბ.კ.-ს მიერ ძალადობრივი ქმედების განხორციელებას.

ბრალდების მხარის მოწმეების, მათ შორის, ფსიქოლოგის კრიტიკული ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ, ადვოკატებმა ნაფიც მსაჯულებს გამამართლებელი ვერდიქტის მიღება მოსთხოვეს.

ნაფიცმა მსაჯულებმა უპრეცედენტოდ მოკლე დროში, ერთხმად მიიღეს გამამართლებელი ვერდიქტი და ბ.კ. უდანაშაულოდ ცნეს წარდგენილ ბრალდებაში.

იურიდიული დახმარების სამსახური სახელმწიფოს ხარჯზე ახორციელებს გადახდისუუნარო და სავალდებულო დაცვას დაქვემდებარებული პირების დაცვას სამართლის სხვადასხვა დარგის მიმართულებით. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაწილეობით არაერთ საქმეზე გადაწყდა დავა სამსახურის დასაცავი პირის ინტერესების სასარგებლოდ“ – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# დუშეთში მოქალაქის სახლიდან სამხედრო ჯავშანტექნიკის სათადარიგო ნაწილები ამოიღეს




საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დუშეთის რაიონში მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული სათავსო შენობიდან სხვადასხვა დასახელებისა და რაოდენობის, სავარაუდოდ, სამხედრო ჯავშანტექნიკის სათადარიგო ნაწილები ამოიღეს.

სუს-ის ინფორმაციით, ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთებზე დანიშნულია ექსპერტიზა.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტ-კრიმინალისტების მონაწილეობით, დუშეთის რაიონში მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული სათავსო შენობიდან სხვადასხვა დასახელებისა და რაოდენობის სავარაუდოდ სამხედრო ჯავშანტექნიკის სათადარიგო ნაწილები ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს“ – ნათქვამია განცხადებაში.

# გაერთიანებული სამეფო უკრაინას დამატებით 1 მილიარდი ფუნტი სტერლინგის დახმარებას გაუწევს



გაერთიანებული სამეფო უკრაინას დამატებით 1 მილიარდი ფუნტი სტერლინგის ოდენობის სამხედრო დახმარებას გაუწევს.

ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა.

თანხა მოხმარდება უკრაინის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას, მათ შორის, საჰაერო თავდაცვის სისტემებს, უპილოტო საჰაერო ხომალდებს, ახალ ელექტრონულ სამხედრო აღჭურვილობასა და ათასობით ერთეულ ტექნიკას უკრაინელი ჯარისკაცებისთვის.

– ბრიტანული იარაღი, აღჭურვილობა და მომზადება გარდაქმნის უკრაინის თავდაცვას ამ თავდასხმის წინააღმდეგ. ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინელი ხალხის სრულ მხარდაჭერას, რათა უზრუნველვყოთ, რომ პუტინმა უკრაინაში მარცხი განიცადოს, – განაცხადა ჯონსონმა.

აღნიშნული დახმარება გაერთიანებული სამეფოს მიერ უკრაინისთვის რუსეთის შეჭრის შემდეგ გაწეულ სამხედრო და ეკონომიკური დახმარების საერთო ოდენობას 3.8 მილიარდ ფუნტ სტერლინგამდე გაზრდის.

# ისრაელის პრემიერი ნაფტალი ბენეტი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს



ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ნაფტალი ბენეტმა, მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომავალ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს.

ბენეტი დარჩება ალტერნატიული პრემიერ-მინისტრის პოსტზე, როგორც კი საგარეო საქმეთა მინისტრი, იაირ ლაპიდი მას პრემიერის პოსტზე ჩაანაცვლებს.

ისრაელის მმართველმა კოალიციამ ქნესეთის გაწევრისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ მიიღო. აღნიშნული არჩევნები ისრაელში ჩატარებული მეხუთე არჩევნები იქნება ბოლო სამი წლის განმავლობაში.

# პარიზის ტერაქტების მონაწილეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს



პარიზის 2015 წლის ნოემბრის ტერაქტების მონაწილე ერთადერთი გადარჩენილი თავდამსხმელი, სალაჰ აბდესლამი სასამართლომ ტერორიზმისა და მკვლელობის ბრალდებით დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ასევე გაასამართლეს ტერაქტებთან დაკავშირებული 19 პირი, რომელთაგან ექვსი გარდაცვლილია. მათთვის შეფარდებული პატიმრობის ვადა 2 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე მერყეობს.

თანამედროვე საფრანგეთის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური სასამართლო პროცესი გასული წლის სექტემბერში დაიწყო.

შეგახსენებთ, 2015 წლის 13 ნოემბერს ბარებზე, რესტორნებზე, ფეხბურთის ეროვნულ სტადიონსა და ბატაკლანის საკონცერტო დარბაზზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად 130 ადამიანი დაიღუპა და ასობით დაშავდა.

# თურქეთი შვედეთიდან და ფინეთიდან 33 ქურთი მებრძოლის ექსტრადირებას შეეცდება

თურქეთი აცხადებს, რომ ის შვედეთიდან და ფინეთიდან 33 ქურთი მებრძოლისა და გადატრიალების მცდელობაში ეჭვმიტანილის ექსტრადირებას შეეცდება იმ შეთანხმების საფუძველზე, რის შედეგადაც ანკარა სკანდინავიური ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანებას დათანხმდა. ინფორმაციას „ფრანს-პრესი“ ავრცელებს.





როგორც მედია წერს, 28 ივნისს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა შვედეთთან და ფინეთთან 10-პუნქტიან შეთანხმებას მიაღწია.

შეთანხმების თანახმად, ორმა ქვეყანამ პირობა დადო, რომ ქურთი მებრძოლების წინააღმდეგ ოფიციალური ანკარის ბრძოლას შეუერთდებიან და აგრეთვე, ეჭვმიტანილთა სწრაფ ექსტრადიციას განახორციელებენ.

მედიის ცნობით, თურქეთი 12 ეჭვმიტანილის ფინეთიდან, ხოლო 21 პირის შვედეთიდან ექსტრადირებას ითხოვს.

– „ჩვენ ვთხოვთ მათ, შეასრულონ დაპირებები, – განაცხადა თურქეთის იუსტიციის მინისტრმა.

ეჭვმიტანილები, რომელთა ვინაობაც არ სახელდება, „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ წევრები არიან.

ცნობისთვის, ევროკავშირი და შეერთებული შტატები „ქურთისტანის მუშათა პარტიას“ ტერორისტულ ორგანიზაციად განიხილავს.

# ჩვენი მიზანია ამ ომის შეჩერება



გაერთიანებული სამეფოს საგარეო მდივნის ლიზ ტრასის განცხადებით, პუტინი შემზარავი დიქტატორია, რომელმაც მოამზადა უკანონო და გაუმართლებელი ომი და შეუკვეთა ყველაზე შემზარავი დანაშაულების ჩადენა უკრაინაში.

– ჩვენ ვნახეთ ქალების გაუპატიურება. ვნახეთ მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმა, მათ შორის სავაჭრო ცენტრში. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ არა მხოლოდ უკრაინელების წარმატება, საკუთარი ქვეყნიდან რუსების გაყრის პროცესში, არამედ ისიც, რომ ადამიანებმა პასუხი აგონ შემზარავი დანაშაულებისთვის, რომლებიც მათ უკრაინაში ჩაიდინეს.

მე არ შევხვედრივარ ვლადიმერ პუტინს. მე არ ვიცი მისი მოტივაცია ამ შემზარავი ომის წარმოებისთვის. რაც ვიცი არის ის, რომ ჩვენი აბსოლუტური პრიორიტეტი უნდა გახდეს ამ ომის შეჩერება, ასევე პუტინისა და რუსული ჯარის გაყრა უკრაინის ფარგლებს მიღმა, სხვაგვარად ჩვენ ვიცხოვრებთ ნაკლებად უსაფრთხო ევროპაში, – განაცხადა ლიზ ტრასმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მამაკაცმა მოკლულის მოჭრილი თავი სასამართლოს კიბეზე დატოვა

გერმანიის ქალაქ ბონში დააკავეს მამაკაცი, რომელმაც მოკლულის მოჭრილი თავი სასამართლოს შენობის კიბეზე დატოვა.

28 ივნისის საღამოს ეჭვმიტანილმა გამვლელების თვალწინ მიიტანა და სასამართლოს შესასვლელთან დატოვა მოჭრილი თავი. თვითმხილველებმა მაშინვე ეს ყოველივე პოლიციას აცნობეს.

– პიროვნება თავიდან რამდენიმე მეტრში იჯდა, – წერს ერთ-ერთი გერმანული გამოცემა, ერთ-ერთ თვითმხილველზე დაყრდნობით, – თავიდან მხოლოდ თმები შევნიშნე და ვიფიქრე, რომ უბრალოდ სათამაშო თაგვი იყო. შემდეგ პოლიცია მოვიდა და დააპატიმრა იქვე მჯდომი მამაკაცი. შემდეგ, როგორც ჩანს, მოკლულის ნათესავები მოვიდნენ, მათ მოკლული ამოიცნეს და აცრემლებულებმა დატოვეს იქაურობა.

შემთხვევის ადგილზე 38 წლის მამაკაცი დააკავეს, რომელიც ბონის რაიონში ცხოვრობს. მას დაკავების დროს წინააღმდეგობა არ გაუწევია და აღიარა, რომ მოკლულის ცხედარი მდინარე რეინის ნაპირზე დატოვა, ამ ადგილიდან ოდნავ მოშორებით.

მოკლული 44 წლის მამაკაცი აღმოჩნდა. მოკლულიც და ეჭვმიტანილიც უსახლკაროები იყვნენ. მათი ურთიერთობის გარემოებების დასადგენად გამოძიება მიმდინარეობს. ჯერ არ არის ნაპოვნი მკვლელობის იარაღი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დინამომ დინამო არ დაინდო





**დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 4:1**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

**1:0 ფლამარიონი (17), 2:0 ალთუნაშვილი (25), 3:0 ტეიდი (43), 3:1 სხირტლაძე (59)**

**დინამო (ბთ):** კუპატაძე, ჩაბრაძე (გაფრინდაშვილი 62), მ.კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ალთუნაშვილი (ბიძინაშვილი 81), ტეიდი (ფალავანდიშვილი 75), მამუჩაშვილი, დავითაშვილი, ჯიღაური (რადინი 62), ფლამარიონი (ვაწაძე 81)

**დინამო (თბ):** პრიეტო, ხარაბაძე (ანტილევსკი 80), კალანდაძე (ხვადაგიანი 46), ბენიო, მალი, მოისწრაფიშვილი (სხირტლაძე 46), მექვაბიშვილი, კამარა (ჩხეტიანი 65), ბარნსი, კირკიტაძე, ბილენკი (გაბედავა 73)

შეხვედრის წინ ხვიჩა კვარაცხელია დაემშვიდობა გულშემატკივრებს. საქართველოს 2021 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა ბოლო თვეებში აშკარად გაალამაზა ჩემპიონატი. მან 8 გოლი გაიტანა ბათუმელთა მაისურით.

კვარაცხელია მოედანზე გამოვიდა და ემოციური ტექსტით მადლობა გადაუხადა გულშემატკივრებს.

**ხვიჩა კვარაცხელია:**

– ცოტა მიჭირს იმიტომ, რომ არ იყო დიდი დრო ერთად გატარებული, მაგრამ ძალიან დიდი ემოცია მაჩუქეთ, მომეცით მოტივაცია, რომ უფრო მეტი ვაკეთო. დიდი მადლობა იმისთვის, რომ ქართულ ფეხბურთს ალამაზებთ. ჩვენ ერთად ყველაფერს უნდა მივაღწიოთ. წარმატებები ბათუმის დინამოს ევროთასებზე. უნდა ვუგულშემატკივროთ იმიტომ, რომ ამ გუნდს ყველაფერი აქვს, მიაღწიოს იმას, რასაც ჯერ საქართველოს არც ერთ გუნდს არ გაუკეთებია.

ზღვისპირულმა გუნდმა კი, უშუალო კონკურენტ თბილისის დინამოს 4:1 მოუგო. ლიდერისა და მე-2 ადგილოსნის შეხვედრას უამრავი მაყურებელი დაესწრო, საფეხბურთო ატმოსფერო მშვენიერი იყო...

ზურიკო დავითაშვილის დარტყმულს ჯოვინო ფლამარიონმა შეუცვალა მიმართულება და 1:0. ეს ფლამარიონის მე-14 გოლია სეზონში. ბრაზილიელი ბომბარდირთა დავაში პირველია. მე-2 გოლს რაც შეეხება, სანდრო ალთუნაშვილმა თითქმის 40 მეტრი ირბინა ბურთიანად და დაბალ კუთხეში ზუსტად დაურტყა პრიეტოს – 2:0. მე-3 ბურთი ბენჟამინ ტეიდმა გაიტანა თავურით... ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა ერთი ბურთით შეამცირეს სხვაობა. კერძოდ, ეს შეცვლაზე შესულმა დავით სხირტლაძემ მოახერხა. თუმცა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე დავითაშვილმა კონტრშეტევა დაასრულა გოლით: საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტი დარტყმით გაუტანა ყოფილ კლუბს.

ბათუმურმა გუნდმა ლიდერობა გაიმყარა და ახლა 9 ქულით უსწრებს თბილისურ დინამოს.

**ტორპედო-დილა 4:1**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

**1:0 არაბიძე (18), 2:0, 3:0 ახვლედიანი (63, 74), 3:1 დრამე (78), 4:1 ახვლედიანი (90)**

**ტორპედო:** კვასხვაძე, ნადარაია, ცინცაძე (ვ.ტაბატაძე 87), გ.კუხიანიძე, მჭედლიძე (თ.ახვლედიანი 59), სანდოხაძე, არაბიძე (შულაია 71), ქიმაძე, ვაჩიბერაძე (კარაგუნისი 71), მჭედლიშვილი, ქავთარაძე (ბუღრიძე 59)

**დილა:** კანევცევი, ჩიტეიშვილი (ნონდი 70), ჭიჭინაძე, სანტოსი, მოსიაშვილი (ლომთაძე 77), ღუდუშაური (დრამე 64), თ.კაპანაძე (სპანდერაშვილი 77), გაგნიძე, გონსალვესი, ძოწენიძე, სილვა

**გაძევება:** გაგნიძე (41)

ქუთაისის ტორპედომ ზესტაფონის სტადიონზე 4:1 მოუგო გორის დილას. რიონისპირულმა კლუბმა, რომელსაც სულ 7 მოგება, ეს ქართლურ გუნდთან მეორედ მოახერხა.

ჰეთ-თრიქი შეასრულა თორნიკე ახვლედიანმა. არადა, ამ მატჩამდე მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი, ახლა კი ერთბაშად 3 მიითვალა. საინტერესოა, რომ ახვლედიანი 59-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა.

ტორპედოდან პირველი და ეფექტური გოლი გიორგი არაბიძემ გაიტანა. დილას რაც შეეხება, მათგან ერთადერთი ბურთი მალელმა ჰაჯი დრამემ ჩაიწერა.

გორელები 41-ე წუთიდან 10 კაცით თამაშობდნენ, რადგან კაპიტანი ნიკა გაგნიძე გაუძევეს 2 გაფრთხილების გამო.

ტორპედო მეშვიდე ადგილზეა, დილა კი ჯერჯერობით მესამეზე დარჩა. გორელებმა ამ სეზონში პირველად გაუშვეს ერთ მატჩში 4 გოლი...

**გაგრა-საბურთალო 3:3**

**თბილისი. დინამო არენა**

**0:1 სიხარულიძე (7), 1:1 ქობულაძე (37), 1:2 შ.ნონიკაშვილი (48), 1:3 გულიაშვილი (58), 2:3 ლომინაძე (87), 3:3 ბუხაიძე (90)**

**გაგრა:** ბ. ქურდაძე, ხოსიტაშვილი, ჭანტურია, სეხნიაშვილი, შონია, ხაბელაშვილი (ვეკუა 67), ბუხაიძე, ქობულაძე, შეწირული (ლომინაძე 67), კვირკვია (ჩოგაძე 67), გვიშიანი (ფარულავა 46)

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, ლაცაბიძე (ი.ტაბატაძე 46), ჯგერენაია, ქარდავა (ო.მამაგეიშვილი 69), გულიაშვილი, ლ.ნონიკაშვილი (გ.მამაგეიშვილი 83), კაკუბავა (შ.ნონიკაშვილი 46), სიხარულიძე (გოშთელიანი 69), გოჩოლეიშვილი, ჩადუნელი, მიოჩი

დინამო არენაზე გამართული მატჩი 3:3 დასრულდა. არადა, საბურთალო ახლოს იყო მოგებასთან, მაგრამ...

მე-7 წუთზე ირაკლი სიხარულიძემ დააწინაურა საბურთალო, ხოლო პირველივე ტაიმში გიორგი ქობულაძემ გაათანაბრა.

მეორე ტაიმის საწყის 13 წუთში ნომინალურმა სტუმრებმა 2-ჯერ გაიტანეს: ჯერ შოთა ნონიკაშვილმა, მერე – გიორგი გულიაშვილმა.

ასეთი ანგარიში იყო 87-ე წუთამდე, მაგრამ გაგრამ ბოლომდე იბრძოლა და დარჩენილ მცირე დროში 2 ბურთი გაიტანა.

ჯერ ნოდარ ლომინაძემ, მერე კი გიორგი ბუხაიძემ მეტოქეს მოგება ამოაცალეს და აქტივში ქულა ჩაიწერეს.

აღსანიშნავია, რომ ლომინაძე გაგრაში თბილისის დინამოდან გაანათხოვრეს და პირველივე მატჩში გოლით გამოიჩინა თავი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 20 | 14 | 5 | 1 | 55-14 | 47 |
| 2.დინამო (თბ) | 20 | 11 | 5 | 4 | 39-20 | 38 |
| 3.დილა | 20 | 10 | 4 | 6 | 24-18 | 34 |
| 4.სამგურალი | 19 | 9 | 6 | 4 | 29-18 | 33 |
| 5.საბურთალო | 20 | 8 | 6 | 6 | 27-22 | 30 |
| 6.თელავი | 19 | 6 | 6 | 7 | 21-17 | 24 |
| 7.ტორპედო | 20 | 7 | 3 | 10 | 21-34 | 24 |
| 8.სიონი | 19 | 5 | 5 | 9 | 22-36 | 20 |
| 9.გაგრა | 20 | 5 | 4 | 11 | 22-38 | 19 |
| 10.ლოკომოტივი | 19 | 1 | 0 | 18 | 15-58 | 3 |

# საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ათეული გაინაღდა

მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტი, საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები 16-გუნდიან მსოფლიო ჩემპიონატზე ათეულში მოხვდა. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც დეიან სტანოევიჩის გუნდმა სამხრეთ აფრიკა გაანადგურა – 20:7.

გოლების გატანა ხვიჩა ჯახაიას გარდა, ყველა მოთამაშემ შეძლო. 3-3 გოლი ანდრია ბითაძემ, ბორის ვაპენსკიმ, სარიჩმა და დუშან ვასიჩმა მიითვალეს. 2-2 გოლი რევაზ იმნაიშვილის, მარკო იელაჩას, ივან სარიჩისა და ნიკა შუშიაშვილის ანგარიშზეა, ხოლო თითოჯერ თავი სანდრო ადეიშვილმა, ვალიკო დადვანმა და ფაბიო ბარალდიმ გამოიჩინეს.

საქართველოს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი – მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში დღეს იაპონიას გაეჯიბრება, რომელმაც ავსტრალიას 15:7 მოუგო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**29 ივნისი**

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**კაცები**

ტაბილო-კეჩმანოვიჩი ................ 6:7,6:7,6:3,3:6
გოფინი-ბაესი ................ 6:1,6:2,6:4
რუდი-უმბერი ................ 6:3,2:6,5:7,4:6
პენისტონი-ჯონსონი ................ 3:6,2:6,4:6
ტიაფო-მარტერერი ................ 6:2,6:2,7:6
ჯოკოვიჩი-კოკინაკისი ................ 6:1,6:4,6:2
ბუბლიკი-ლაიოვიჩი ................ 7:6,6:2,7:5
ნორი-მუნარი ................ 6:4,3:6,5:7,6:0,6:2
ბასილაშვილი-ალი ................ 7:6,0:6,7:5,7:6
სინერი-იმერი ................ 6:4,6:3,5:7,6:2
ვესელი-დავიდოვიჩ ფოკინა . 6:3,5:7,6:7,6:3,7:6
პოლი-მანარინო ................ 6:2,6:4,6:1
ვან რეიტჰოვენი-ოპელკა ................ 6:4,6:7,7:6,7:6
მიურეი-ისნერი ................ 4:6,6:7,7:6,4:6
გრიკსპორი-ალკარასი ................ 4:6,6:7,3:6

**ქალები**

კალინინა-ცურენკო ................ 6:3,4:6,3:6
ჩჟანი-კოსტიუკი ................ 7:6,6:2
ნიემაიერი-კონტევეიტი ................ 6:4,6:0
მარია-კირსტეა ................ 6:3,1:6,7:5
ვიკმაიერი-ოსტაპენკო ................ 2:6,2:6
გარსია-რადუკანუ ................ 6:3,6:3
ბუეზკოვა-ლი ................ 6:0,6:3
კერბერი-ლინეტი ................ 6:3,6:3
პერი-ჰონტამა ................ 6:3,6:2
ხვალინსკაია-რისკე ................ 6:3,1:6,0:6
კოჩარეტო-ბეგუ ................ 4:6,4:6
საკარი-ტომოვა ................ 6:4,6:3
კავა-უჯაბირი ................ 4:6,0:6
გალგი-იუვანი ................ 5:7,3:6

# ბასილაშვილი უიმბლდონის მესამე წრეში მეორედ გავიდა



ნიკოლოზ ბასილაშვილი უიმბლდონის მე-3 წრეში ითამაშებს და ეს მის კარიერაში რეკორდის გამეორებაა. აქამდე ჩვენებური უფრო შორს არ წასულა.

მე-2 რაუნდში ქართველმა ჩოგბურთელმა 4 სეტში ფრანგი ქუენტინ ალი დაამარცხა – 7:6, 0:6, 7:5, 7:6.

მატჩი ძალიან დაძაბული იყო და 2-საათნახევარი გაგრძელდა. ბრძოლა ყველა სეტში იყო მეორის გარდა, რომელიც ქართველმა პირწმინდად დათმო. ორ სეტში ბასილაშვილმა ტაი-ბრეიკზე მოიგო, ხოლო ერთში 7:5 იმარჯვა.

მე-3 წრეში ბასილაშვილის მეტოქე ნიდერლანდელი ტიმ ვან რეიტჰოვენი იქნება, რომელმაც განთესილ რაილი ოპელკას არანაკლებ დაძაბულ ბრძოლაში მოუგო – 6:4, 6:7, 7:6, 7:6.

ბასილაშვილი უიმბლდონზე კარიერაში მერვედ ასპარეზობს და მე-3 წრეში აქამდე ერთხელ, 2015 წელს ითამაშა.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# საქართველო ლატვიაშია და უკრაინისთვის ემზადება

ლატვიაში უკრაინასთან სათამაშოდ ჩასულმა საქართველოს ნაკრებმა „რიგა არენაზე" პირველი და ბოლო ვარჯიში გამართა. ეს გახლდათ უფრო აღდგენითი ვარჯიში, რომლის დროსაც გუნდმა დარბაზი „დაზვერა". მგზავრობის შემდეგ მწვრთნელთა შტაბმა გუნდს დასვენების საშუალება მისცა. შესაბამისად, ილიას ზუროსს რიგის დარბაზში კომბინაციებისა და სხვადასხვა სათამაშო კომპონენტებზე ვარჯიში არ ჩაუტარებია.

როგორც უკვე გითხარით, ეს გახლდათ თამაშამდე ბოლო ვარჯიში, რადგან „რიგა არენაზე" გუშინ ლატვიასა და სერბეთის ნაკრებებს შორის მსოფლიოს საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი გაიმართა და ჩვენთვის არ ეცალა.

საქართველოს ნაკრები „რიგა არენას" 1 ივლისს დაუბრუნდება – 20:00 საათზე საქართველოსა და უკრაინის მატჩი დაიწყება.

**ვიქტორ სანიკიძე, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– ნაკრებმა ვარჯიში უკვე ჩაატარა. ვფიქრობ, უკრაინასთან რთული შეხვედრა გველის, რადგანაც დიდი დატვირთვა გააჩნია. მოგეხსენებათ, ფიბა-ს გადაწყვეტილებით, ჯგუფში მე-4 გუნდთან შედეგები ანულირდება, ამდენად, მომავალ მატჩში გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია. რაც ყველაზე მთავარია, ბიჭები ჯანმრთელად არიან. ცხადია, უკრაინელებთან დაპირისპირებას, რომლებიც რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან, სხვაგვარი დატვირთვაც გააჩნია, თუმცა, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს შეხვედრა გამარჯვებით დავასრულოთ.

**საქართველოს ნაკრები ლატვიის დედაქალაქში ასეთი შემადგენლობით იმყოფება:**

თორნიკე შენგელია (ბოლონია, იტალია), გიორგი შერმადინი (ტენერიფე, ესპანეთი), გოგა ბითაძე (ინდიანა, აშშ), თად მაკფადენი (მურსია, ესპანეთი), დუდა სანაძე, ბექა ბურჯანაძე (ორივე უკლუბოდ), რატი ანდრონიკაშვილი (კრეიტონი, აშშ), კახა ჯინჭარაძე, გივი ბაქრაძე (ორივე ოლიმპი), მერაბ ბოქოლიშვილი (რუსთავი), მიხეილ ბერიშვილი (თსუ), გიორგი კორსანტია (ქუთაისი).




საქართველოსთან მატჩის წინ, უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** პრესკონფერენცია გამართა:

– საქართველოს ძალიან ჭკვიანი ნაკრები ჰყავს, რომელიც ყველაფერს აიღებს, რის უფლებასაც მისცემ. ჩვენი მიზანიც ისაა, რომ არაფერი დავუთმოთ. სვიატოსლავ მიხაილუკის ფაქტორი? ჩვენთან ერთად მხოლოდ ოთხი ვარჯიში მოუწია. ვნახოთ, რა იქნება. დიდი იმედი გვაქვს, რომ ტრიბუნებიდან მხარს როგორც უკრაინელები, ასევე ლატვიელები დაგვიჭერენ. გვინდა, ქომაგმა მეექვსე მოთამაშის როლი შეასრულოს. რიგაში თამაში შემთხვევით არ აგვირჩევია. ბოლო პერიოდში ლატვიელი გულშემატკივარი მაღალი დონის მატჩებით განებივრებული არ არის. ისეთი მეტოქეები კი, როგორებიც საქართველო და ესპანეთი არიან, ყველაზე მაღალი დონის ნაკრებებს მიეკუთვნებიან.

სადღეისოდ, ჯ ჯგუფს ოთხიდან 3 მოგებით საქართველო ლიდერობს, ჩვენებს კვალში ესპანეთი (სამიდან 3 გამარჯვება) უდგას. ამ გუნდებს შემდეგ ეტაპზე გასვლა განაღდებული აქვს, ხოლო მესამე საგზურისთვის უკრაინა (1 მოგება, 2 წაგება) და ჩრდილოეთ მაკედონია (4 მარცხი) იბრძვიან.

# თემურ ქეცბაია კვიპროსის ნაკრებს გაწვრთნის




თემურ ქეცბაია კვიპროსის ნაკრების მთავარი მწვრთნელია. მხარეებს შორის კონტრაქტი უკვე გაფორმდა და ძალაში მსოფლიოს 2026 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლომდე იქნება. ქართველი სპეციალისტის ასისტენტი ნაკრებში სოსო ჭედია იქნება.

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ კომენტარი **ქეცბაიამ** გააკეთა:

– მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს შესაძლებლობა მომცა. პრეზიდენტს, იმ ხალხს, რომლებიც ფედერაციაში მუშაობენ. კვიპროსის ნაკრების მწვრთნელობა დიდი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა. იმედი მაქვს, ყველა იმ მოლოდინს გავამართლებ, რომელიც ჩემ მიმართ არსებობს. მომდევნო ორ მატჩში ჩვენი მიზანი ჯგუფში ბოლო ადგილის აცილებაა. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გამარჯვებები მოვიპოვოთ და მთელი ერი გავახაროთ.

ქეცბაიას დებიუტი კვიპროსის ნაკრებში სექტემბერში შედგება საბერძნეთისა და კოსოვოს ნაკრებებთან დაპირისპირებაში.

ქეცბაიამ სამწვრთნელო კარიერა 2004 წელს ანორთოსისში მოთამაშე-მწვრთნელად დაიწყო. უმუშავია პირეოსის ოლიმპიაკოსში, ნიქოზიის აპოელსა და რუსულ ორენბურგში, ხოლო 2019 წელს ისევ ანორთოსისში დაბრუნდა. ქართველმა სპეციალისტმა ანორთოსისს 2005 და 2008 წლებში კვიპროსის ჩემპიონატი მოაგებინა, 2007 და 2021 წლებში კვიპროსის თასი, ხოლო 2007 წელს კვიპროსის სუპერთასი.

რაც შეეხება სანაკრებო კარიერას, აქ ქეცბაია მხოლოდ საქართველოს ეროვნული გუნდით შემოიფარგლება. ქეცბაია ჩვენს ნაკრებს 2009-14 წლებში წვრთნიდა. სწორედ მის პერიოდში გუნდმა ზედიზედ 10 მატჩი არ წააგო, რაც დღემდე სარეკორდო წაუგებელი სერიაა. ვილი სანიოლის ამ შედეგის გამეორებამდე 1 მატჩი აშორებს.


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# სამგლოვიარო განცხადებები

## მიმოზა ჩიქოვანი-ტაბაღუას

### გახსენება-მონატრება



სამი ივლისი, ჩემი ძვირფასი მეუღლის მიმოზა ჩიქოვანი-ტაბაღუას დაბადების დღეა. მეოთხე წელია, რაც შენს დაბადების დღეს უშენოდ აღვნიშნავთ. ოთხი წელი გავიდა, რაც უფალმა ინება ჩვენი ერთმანეთისგან ფიზიკურად განშორება, მაგრამ სანატრელო მიმოზა, სულიერად სულ მუდამ ერთად ვართ. მიმძიმს უშენოდ შენი დაბადების დღის აღნიშვნა, მაგრამ ქრისტეს სჯულის კანონი როგორც გვასწავლის, საიუბილეო თარიღის აღნიშვნის დღეს, ტკივილსა და დარდზე საუბარი დაუშვებელია, რადგან დღევანდელი დღე, შენს დაბადების დღეზე მიძღვნილი ზეიმია. დღეს ჩემთან ერთად შენი და ჩვენი ოჯახის ყველა საყვარელი ადამიანი არის სასაფლაოზე შეკრებილი და მარადიულ სასუფეველში მყოფს გილოცავენ დაბადების დღეს – შვილები, ლალი და ლევანი ოჯახით, შვილიშვილები ლადო და რატი, დედმამიშვილები ლამზირა, ლევანი, თენგიზ ჩიქოვანები ოჯახებით, ყველა სისხლხორცნათესავი, ვისაც არ ყავხარ მივიწყებული. შენი განუყრელი და სულისმიერი მეგობრები, ნანა ლომთათიძე, ნათელა წულაია და ციური ხაბაზიშვილი. გილოცავენ დაბადების დღეს და სიყვარულით, ტკბილი მოგონებებით გისურვებენ საქართველოს ზეციურ დიად სასულეთში ცხოვრების მშვიდად გაგრძელებას. ვართ იმედით აღვსილი და ყველას გვჯერა, რომ უფალს თავისთან ახლოს ეყოლები, როგორც სულიერად მტკიცე, სათნო და კეთილი ადამიანი. ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში და რბილი იყოს ის ადგილი, სადაც ხარ, ჩვენო უსაყვარლესო და მარად დაუვიწყარო მიმოზა!

*შენი გულდაწყვეტილი მეუღლე ვლადიმერ ტაბაღუა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. ოპიუმის ძველი სახელწოდება; 2. უნგრელი მწერალი, რომან „ოქროკაცის" ავტორი; 3. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 4. ბრმად თაყვანისცემის საგანი; 6. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 9. ციტრუსების კანის გარეთა შეფერილი გარსი; 11. ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ბულგარეთში; 15. ორგანიზმის შეუვალობა შხამის, ვირუსის წინააღმდეგ; 16. სპარსელი პოეტი; 17. აშშ-ის ქალაქი მექსიკის ყურეში, სადაც განთავსებულია „ნასას" ცენტრი; 19. სახელმწიფო აზიაში; 21. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 22. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება.

**თარაზულად:** 5. ფულის ერთეული ბრაზილიაში; 7. ზეთით მდიდარი მსხლის ფორმის მქონე ტროპიკული ხილი; 8. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 10. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელწერილი, თამასუქი; 12. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 13. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 14. ტვირთის დროებითი სათავსო ნავსადგურში, საბაჟოზე; 18. გემი, რომლითაც ჩარლზ დარვინმა იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო; 20. შიშით გამოწვეული მღელვარება; 23. პოლიციის განყოფილების უფროსი აშშ-ში; 24. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 25. რამეთი სარგებლობის ზღვრული ნორმა; 26. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 27. ატომგულის დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რუბენსი; 2. ორდინარი; 3. ალგებრა; 5. საქსონია; 7. ჭიანური; 9. იაკიტორია; 13. გატუიკი; 15. იგუასუ; 16. მადონა; 18. უფიცა.

**თარაზულად:** 4. კუროსავა; 6. აბრსკილი; 8. მელიქიშვილი; 10. მანდელა; 11. კარე; 12. ბრუნეი; 14. გიენა; 17. გორდა; 19. ხურმა; 20. უორდროპი; 21. აული; 22. ხუზისტანი; 23. ჰამსუნი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კრუიზი; 2. კიოტო; 3. გრახტი; 4. ქორქია; 6. ფარაონი; 9. პაპყი; 11. კურიოზი; 15. ლაფონტენი; 16. ცერული; 17. ჭკუასელი; 19. იმპულსი; 21. ბაჯაღლო; 22. პანეში.

**თარაზულად:** 5. ერისთავი; 7. ანტრაშა; 8. არმაი; 10. მარკონი; 12. იფქლი; 13. კრუპი; 14. ბაყალხანა; 18. გრილი; 20. ნესკრა; 23. მაინცი; 24. ჯინი; 25. დალესი; 26. შუნი; 27. პლუტოსი.

**ახალი თაობა**

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 ივლისი


აშშ დოლარი — 2.9283


ევრო — 3.0504


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.5603


100 რუსული რუბლი — 5.4223

## ამინდის პროგნოზი 1 ივლისისათვის




# ლუის სუარესი: „ჩემს კარიერაში ახალი ეტაპი იწყება“



რივერ პლეიტის ახალწვეულმა ლუის სუარესმა თავის ახალ გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ძალიან უხარია ამ გუნდში მისვლა, რადგან აქ თამაში მისთვის საინტერესო იქნება. სუარესის აზრით, მისთვის კარიერის დასრულება ჯერ ადრეა:

— ვთვლი, რომ ჩემს კარიერაში ახალი ეტაპი იწყება და მინდა, რომ გულშემატკივარი ჩემი თამაშით გავახარო. თუ ეს არ გამომივიდა, მაშინ უკვე კარიერის დასრულებაზეც შეიძლება ფიქრი.

# ჩაკვეტაძე კარიერას სლოვანში გააგრძელებს



გიორგი ჩაკვეტაძე კარიერას სლოვაკურ სლოვანში გააგრძელებს და გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის უახლოეს დღეებში ოფიციალურად კონტრაქტსაც მოაწერს ხელს. ჩაკვეტაძეს სლოვანი შემთხვევით არ აურჩევია, რადგან ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ვაისია და იქ გურამ კაშია და ჯაბა კანკავა თამაშობენ.

# ფრენკი დე იონგი: „ბარსელონას დატოვება არ მსურს“



ბარსელონას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა განაცხადა, რომ მას ბარსელონას დატოვება არ სურს, რადგან ამ გუნდში მას სერიოზული პოტენციალი აქვს, სხვაგან კი ის თავს კარგად არ იგრძნობს:

— ბარსელონამ ყველაფერი მომცა და მინდა, რომ ამ გუნდისთვის იგივე გავაკეთო. თუ დავრჩები, დარწმუნებული ვარ, რომ ამის საშუალება არაერთხელ მექნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— ყველა კაცი ერთნაირია, ყველა სვამს.

— ჩემი ნაძირალა კი ჭამს კიდევაც.

•••

ჟურნალისტი დეპუტატს ეკითხება:

— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

— სად, პარლამენტში თუ სახლში?

•••

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

— ანანისტებს ცოლი მოჰყავთ?

— კი, მხოლოდ მწველავები!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— მორჩა, აღარ გელაპარაკები!

— ნამდვილად? პირობას მაძლევ?

•••

მანქანის მართვის ინსტრუქტორი მართვის მოწმობის აღების მსურველ გოგონას აფრთხილებს:

— და, ყველაზე მთავარი, საპირისპიროდ მოძრავ მანქანებს არ გაასწროთ!

•••

შვილი მამას ეკითხება:

— მამიკო, რა ერქვა ადამის სიდედრს?

— სიდედრი არ ჰყავდა, შვილო... სამოთხეში ცხოვრობდა.

•••

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

— იცი, ცოლმა მიმატოვა, ისე, რომ ერთი თეთრიც არ დამიტოვა.

— ჩემმა ცოლმაც სულ უფულოდ დამტოვა, მაგრამ არსად წასულა.

# ანრი ჯოხაძემ და ნინი ბადურაშვილმა დუეტი ჩაწერეს



მომღერლებმა ანრი ჯოხაძემ და ნინი ბადურაშვილმა დუეტი ჩაწერეს და მასზე ვიდეორგოლიც გადაიღეს.

მათ არჩევანი კომპოზიტორ გია მაჭარაშვილის ცნობილ სიმღერაზე „ზაფხულის წვიმაში“ შეაჩერეს. სიმღერას თავის დროზე მომღერალი მერაბ სეფაშვილი ასრულებდა.

სიმღერის არანჟირება, კლიპის მონტაჟი და რეჟისურა ანრი ჯოხაძეს ეკუთვნის. ნინისა და ანრის გარდა, კლიპში მერაბ სეფაშვილიც მონაწილეობს. ის ვიდეორგოლის ფინალურ სცენაში ჩნდება.

ანრიმ და ნინიმ ახალი ერთობლივი ნამუშევარი ათასობით გულშემატკივარს ინტერნეტის საშუალებით გაუზიარეს და უამრავი მოწონება და დადებითი კომენტარიც გაუზიარეს.

# გოდერძი ჯანელიძე ლონდონში მიიწვიეს



ქართველი ოპერის მომღერალი გოდერძი ჯანელიძე ლონდონში მიიწვიეს, სადაც მონაწილეობა მიიღო იტალიელი კომპოზიტორის მერკადანტეს ოპერის აღდგენილ ვერსიაში:

— მინდა გაგიზიაროთ ჩემი სიხარული — გავხდი ისტორიული მნიშვნელობის სპექტაკლის ნაწილი. იტალიელი კომპოზიტორის მერკადანტეს ოპერა პირველად დაუბრუნდა სცენას 1842 წლის სან-კარლოს თეატრის პრემიერის შემდეგ და ეს ისტორიული ფაქტი ლონდონში შედგა.

ჩემთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა მსმენელის წინაშე ამ ოპერაში წარდგენა, ვინაიდან სცენას თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს არტისტებთან გავიყოფ და სპექტაკლი კომპაქტ-დისკის სახითაც გამოიცემა.

# ქართულ საგანძურს უცხოელი არქივისტები გაეცნენ

ეროვნულმა არქივმა 1920-იან წლებში ქართული საგანძურის ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში დაბრუნების ისტორია უცხოელ კოლეგებს ქალაქ კრაკოვში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე გაუზიარა.

ღონისძიების ფარგლებში ეროვნული არქივის დელეგაციის წევრები — გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი სოფრომაძე და საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სოფიო ჯობავა კრაკოვის არქივის მუშაობას გაეცნენ, კოლეგებისგან მოისმინეს ინფორმაცია საარქივო დოკუმენტებით სარგებლობის, დიგიტალიზაციის, რესტავრაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მათი გამოცდილების შესახებ.

კონფერენციაში მონაწილე უცხოელ კოლეგებთან შეხვედრისას საქართველოს ეროვნული არქივის წარმომადგენლებმა მომავალი თანამშრომლობის გაძლიერების საკითხებზე ისაუბრეს.

ორდღიან კონფერენციაში სახელწოდებით „ევროპული კოლოკვიუმი არქივებზე“ ევროპული ქვეყნების საარქივო დაწესებულების წარმომადგენლები მონაწილეობენ. ღონისძიება პოლონეთის სახელმწიფო არქივის ორგანიზებით იმართება.

# რეზო გაბრიაძე 86 წლის გახდებოდა



რეჟისორი, მსახიობი და მხატვარი რეზო გაბრიაძე 86 წლის გახდებოდა. ამ დღეს მისი მეუღლის ელენე ჯაფარიძის დაბადების დღეცაა.

ხელოვანს დაბადების დღე მის მიერ დაარსებულმა მარიონეტების თეატრმა საგანგებო განცხადებით მიულოცა:

— რეზო გაბრიაძეს 86 წელი შეუსრულდებოდა...

ძალიან გვენატრება და გვაკლია ბატონი რეზო, მაგრამ ამავე დროს, ყოველ წუთს ვგრძნობთ, რომ ის კვლავ აქ, თავის თეატრშია, სადაც ყველაფერი მისი სიყვარულის ენერგიით სუნთქავს...

ამავე დღეს ბატონი რეზოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანის, ცხოვრებასა და შემოქმედებაში განსაკუთრებული მეგობრისა და მხარდამჭერის, მისი მეუღლის, ქალბატონი ელენე ჯაფარიძის დაბადების დღეა. ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ ქალბატონ ელენეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# „სულიკო“ ლიეტუვაში კონცერტებს გამართავს




ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტების ანსამბლი „სულიკო“ პანდემიის შემდეგ შემცირებული შემადგენლობით პირველ გასტროლს ლიეტუვაში გამართავს. მომღერლები უცხოელ მსმენელთან შესახვედრად განსაკუთრებულად ემზადებიან და აქტიურ რეპეტიციებს გადიან.

ანსამბლის გასტროლები 6 ივლისს ქალაქ კუპიშკასში ღია ცის ქვეშ დაიწყება. ამ დღეს ლიეტუვა დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს და „სულიკო“ ამ ღონისძიებაზე საპატიო სტუმრის სტატუსით არის მიწვეული, სადაც ლიეტუვის ჰიმნით მიესალმება მოსახლეობას.

7 ივლისს მომღერლები კონცერტს ქალაქ მარიჟამპოლეში გამართავენ, 8 ივლისს — ქალაქ სემელიშკეში, 9 ივლისს — დუსეტოსის საკონცერტო დარბაზში, 10 ივლისს — ბისტრამპოლიოს დარბაზში, 12 ივლისს — ვილნიუსში წმინდა ეკატერინეს ტაძარში იმღერებენ.

ანსამბლ „სულიკოს“ საგასტროლო ტურნე 13 ივლისს შაულაიში „აუშროს მუზეუმში“ დასრულდება, სადაც ქართველი მომღერლები მსმენელის წინაშე განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამით წარდგებიან.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ასტროპროგნოზი



## 1 ივლისისათვის

**ვერძი** — ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** — კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** — თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** — ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** — შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** — თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** — არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** — ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** — პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** — იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** — ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** — ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. გარეული ცხოველების დასაჭერი მახე; 2. რომელიმე სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა; 3. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 5. მიუნხენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 7. ესპანელი ფერმწერი; 9. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 15. აეროპორტი ქაიროში; 16. უნგრეთის პრეზიდენტი; 18. ვერცხლით დაფარული დანაჩანგალი.

**თარაზულად:** 4. ლერწმისგან დამზადებული ქართული მუსიკალური საკრავი; 6. მთავრობის მეთაური გერმანიაში; 8. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი ცენტრი თურქეთში; 11. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 12. თაფლიანი ფიჭა; 14. ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 17. მოქანდაკის ხის საჭრეთელი; 19. სამრეწველო ცენტრების დიდი ქალაქების ცაზე დაგროვილი მუქი ნისლი; 20. ცოცხლად მშობელი თევზი; 21. ბერძნული ანბანის პირველი ასო; 22. ქართველი ხელოვანი, საესტრადო წარმოდგენა „იუმორინას“ დამფუძნებელი, ვირტუოზი გიტარისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე; 23. დაბალი რანგის დიპლომატი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*